ანგარიშის ფორმა №1

(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

## 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

**სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1.1. პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

**"საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია".**

1.2. **მეცნიერების დარგი - ეკონომიკა**

1.3. **სამეცნიერო მიმართულებები: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, სექტორული ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები**

1.4. **დაწყებისა და დამთავრების წლები: 2022-2028**

1.5. **პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

1. **აბესაძე რამაზ** – პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
2. **პაპავა ვლადიმერ** – პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი
3. **ბურდული ვახტანგ** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
4. **ბერულავა გიორგი** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
5. **ხუსკივაძე მამუკა** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
6. **ჯავახიშვილი რევაზი** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
7. **ბიბილაშვილი ნანა** – შემსრულებელი
8. **ბერიშვილი ხათუნა** – შემსრულებელი
9. **ბრეგვაძე გიორგი** – შემსრულებელი
10. **გოგოხია თემურ** – შემსრულებელი
11. **დავლაშერიძე ნატალია** – შემსრულებელი
12. **დათუნაშვილი ლინა** – შემსრულებელი
13. **დვალიშვილი ლია** – შემსრულებელი
14. **თაფლაძე თამარ** – შემსრულებელი
15. **თეთრაული ციცინო** – შემსრულებელი
16. **თოთლაძე ლია** – შემსრულებელი
17. **კაკულია ეთერ** – შემსრულებელი
18. **კვარაცხელია მურმან** – შემსრულებელი
19. **კურატაშვილი ქრისტინე** – შემსრულებელი
20. **ლაზარაშვილი თეა** – შემსრულებელი
21. **მელაშვილი მედეა** – შემსრულებელი
22. **ნოზაძე ზურაბ** – შემსრულებელი
23. **ჟორჟიკაშვილი ნინო** – შემსრულებელი
24. **ქავთარაძე თენგიზ** – შემსრულებელი
25. **ქისტაური ნუნუ** – შემსრულებელი
26. **ქველაძე ქეთევან** – შემსრულებელი
27. **ცუცქირიძე მარინე** – შემსრულებელი
28. **წერეთელი ზურაბ** – შემსრულებელი

## 2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები

**2.1.** 2023 წელს დასამუშავებელი გარდამავალი თემა

**„საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა და ეკონომიკური საფრთხეები“**

**2.2. მეცნიერების დარგი - ეკონომიკა**

2.3. სამეცნიერო მიმართულებები: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, სექტორული ეკონომიკა, საერთაშორ-ისო ეკონომიკური ურთიერთობები

2.4. თემაში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **აბესაძე რამაზ** –ხელმძღვანელი, შემსრულებელი
2. **პაპავა ვლადიმერ** –სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი
3. **ბურდული ვახტანგ** –თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
4. **ბერულავა გიორგი** –თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
5. **ხუსკივაძე მამუკა** –თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
6. **ჯავახიშვილი რევაზი** –თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
7. **ბიბილაშვილი ნანა** – შემსრულებელი
8. **ბერიშვილი ხათუნა –** შემსრულებელი
9. **ბრეგვაძე გიორგი** – შემსრულებელი
10. **გოგოხია თემურ** – შემსრულებელი
11. **დავლაშერიძე ნატალია** – შემსრულებელი
12. **დათუნაშვილი ლინა** – შემსრულებელი
13. **დვალიშვილი ლია** – შემსრულებელი
14. **თაფლაძე თამარ** – შემსრულებელი
15. **თეთრაული ციცინო** – შემსრულებელი
16. **თოთლაძე ლია** – შემსრულებელი
17. **კაკულია ეთერ** – შემსრულებელი
18. **კვარაცხელია მურმან** – შემსრულებელი
19. **კურატაშვილი ქრისტინე –** შემსრულებელი
20. **ლაზარაშვილი თეა** – შემსრულებელი
21. **მელაშვილი მედეა** – შემსრულებელი
22. **ნოზაძე ზურაბ** – შემსრულებელი
23. **ჟორჟიკაშვილი ნინო –** შემსრულებელი
24. **ქავთარაძე თენგიზ** – შემსრულებელი
25. **ქისტაური ნუნუ** – შემსრულებელი
26. **ქველაძე ქეთევან** – შემსრულებელი
27. **ცუცქირიძე მარინე** – შემსრულებელი
28. **წერეთელი ზურაბ –** შემსრულებელი

2.

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

**2.1. თემები და შემსრულებლები**

1. **აბესაძე რამაზ –** მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები;
2. **აბესაძე რამაზ –** „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;
3. **პაპავა ვლადიმერ –** პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;
4. **პაპავა ვლადიმერ –** პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;
5. **ბურდული ვახტანგ –** რეგიონული ეკონომიკური პრობლემები და საფრთხეები;
6. **ბურდული ვახტანგ –** ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში და

| |
|---|
| მასთან დაკავშირებული საფრთხეები;<br>7. **ბერულავა გიორგი, ცუცქირიძე მარინე –** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები და საფრთხეები;<br>8. **კვარაცხელია მურმან –** გლობალიზაცია და ეკონომიკური (არაეკონომიკური) საფრთხეები საქართველოში;<br>9. **ლაზარაშვილი თეა –** გარე და შიგა ინვესტიციები საქართველოში და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>10. **ჯავახიშვილი რევაზ –** საქართველოს საგარეო ვაჭრობის პრობლემები და მასთან დაკავშირებული ეკომომიკური საფრთხეები;<br>11. **ხუსკივაძე მამუკა –** საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები;<br>12. **აბესაძე რამაზ, ბიბილაშვილი ნანა,თაფლაძე თამარ, კურატაშვილი ქრისტინე –** ქსელური ეკონომიკა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>13. **ქავთარაძე თენგიზ, დათუნაშვილი ლინა –** საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები;<br>14. **კაკულია ეთერი –** მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში და ეკონომიკური საფრთხეები;<br>15. **ბრეგვაძე გიორგი –** საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობაში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები;<br>16. **თოთლაძე ლია –** საერთაშორისო ეკონომიკური პროგრამები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>17. **ბერიშვილი ხათუნა –** საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული საფრთხეები;<br>18. **დავლაშერიძე ნატა –** ეკონომიკური საფრთხეების პრობლემა ნობელის პრემიის ლაურეატთა შრომებში;<br>19. **ქისტაური ნუნუ –** საქართველოს მრეწველობაში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები;<br>20. **ქველაძე ქეთევან –** საქართველოს მომსახურების სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი) პრობლემები და ეკომომიკური საფრთხეები;<br>21. **გოგოხია თეიმურაზ –** მარკეტინგული მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები;<br>22. **ჟორჟიკაშვილი ნინო –** საქართველოს კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტში არსებული პრობლემები და ეკომომიკური საფრთხეები;<br>23. **წერეთელი ზურაბ –** საინვესტიციო მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები;<br>24. **დვალიშვილი ლია –** საქართველოს არაგანახლებადი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>25. **მელაშვილი მედეა –** სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>26. **თეთრაული ციცინო –** საქართველოს მიწის რესურსებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები;<br>27. **ნოზაძე ზურაბ –** საქართველოს წყლის რესურსებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები; |

1. **აბესაძე რამაზ.** საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მთელ მანძილზე ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები მნიშვნელოვნად იცვლებოდა. განსაკუთრებით ეს მაჩვენებლები უარესდებოდა დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1992-1995), შემდეგ კი პანდემიის პერიოდში (2020-2021). 2021 წლიდან იწყება მაკროეკონომიკურ პარამეტრთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი 2021 წელს გაიზარდა 10,5, 2022 წელს 10,4, 2023 წელს 8 პროცენტით, (დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ნოემბერს). უმუშევრობის დონე 2013 წელს 2019 წელს 19,6 პროცენტიდან 15,6 პროცენტამდე შემცირდა სიღარიბის დონე კი იმავე პერიოდში 18,6 პროცენტიდან 15,6 პროცენტამდე. ბოლო წლებში ასევე იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2022 წელს მან 2087,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ნაცვლად 2019 წლის 1354,1 მილიონი აშშ დოლარისა. მთავრობის საგარეო ვალმა 2022 წელს მშპ-ს მხოლოდ 32,8% შეადგინა ამ დადებით

ტენდენციასთან ერთად შენარუნებულია უარყოფითი სავაჭრო სალდო, მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტს მზარდი ტენდენცია აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 3 წელიწადში საქართველოს ეს საფრთხეები მაინც რჩება, განსაკუთრებით მიმდინარე ომებისა და საერთაშორისო დაძაბულობის ფონზე. ეს საფრთხეებია:

1. სიღარიბის ზრდა;
2. ინფლაცია;
3. კორუფცია;
4. უცხოური ინვესტიციების შემცირება;
5. შიგა ინვესტიციების შემცირება;
6. საგარეო ვალის დიდი მოცულობა;
7. სავალუტო კურსის ცვლილება;
8. კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
9. ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე;
10. მრეწველობის განვითარების დაბალი დონე;
11. მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე;
12. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე;
13. ინვესტიციების შემცირება ინოვაციებზე;
14. ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის შეფერხება;
15. უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და სტრუქტურა;
16. ჩრდილოვანი ეკონომიკა;
17. საერთაშორისო ეკონომიკური საფრთხეები (ეკონომიკური კრიზისი, დომპინგი და სხვ.).

2. **აბესაძე რამაზ**. გამოკვლეულია „მწვანე" და „წრიული" ეკონომიკის არსი და გამოწვევები, გამოვლენილია ამ მიმართებით არსებული ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და შემოთავაზებულია მათი თავიდან აცილების გზები.

მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია: მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობასთან; ეკონომიკურ ზრდასთან; არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლებასთან; განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობების შენარჩუნებასთან; გარემოს დაბინძურების შემცირებასთან. სწორედ ამ პრობლემათა გადაჭრას მნიშვნელოვანწილად ემსახურება "მწვანე" ეკონომიკა.

„ყავისფერი" ეკონომიკა ანუ ტრადიციული ეკონომიკა, ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისიდან მომდინარე, დაკავშირებულია წარმოების პროცესებში ნახშირბადის მაღალ შემცველობასთან (ვინაიდან იგი ძირითადად ემყარება წიაღისეული სათბობის გამოყენებას), რესურსების მფლანგველურ მოხმარებასა და სოციალურ ექსკლუზიურობასთან. ამის საწინააღმდეგოდ „მწვანე" ეკონომიკა ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით. იგი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აღადგენს ბუნებრივ კაპიტალს.

თანამედროვე ეკონომიკის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსების მფლანგველური მოხმარება - რესურსების ეკონომიკური ფასეულობა მაქსიმალურად არ გამოიყენება. ასეთ ეკონომიკას, რომელიც ორიენტირებულია მოგების ზრდაზე, დღევანდელი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე, სწორხაზოვან ეკონომიკას უწოდებენ. სწორხაზოვანი ეკონომიკის პირობებში შეზღუდული რესურსები გამოიყენება არა ეფექტიანად და წარმოების ნარჩენების უზარმაზარი რაოდენობა დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. სწორხაზოვან ეკონომიკის საპირისპიროა წრიული ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური ფასეულობის მაქსიმალურ გამოყენებასა და გარემოს მინიმალურ დაბინძურებაზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ზემოთ მოყვანილ პრობლემათა გადაჭრისა არის წრიული ეკონომიკის ფორმირება, სწორხაზოვანი ეკონომიკისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს პრინციპი: ნედლეულის გამოყენება პროდუქტის საწარმოებლად, ხოლო ნარჩენების (რომელთა გამოყენება კვლავ შესაძლებელია პროდუქციის მისაღებად) გარემოში ჩაშვება და მისი დაბინძურება. წრიული ეკონომიკა აღდგენადი სისტემაა, რომელშიც როგორც რესურსები, ისე ნარჩენები მინიმიზებულია. წრიული ეკონომიკის მთავარი კონცეფცია მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. წრიული ეკონომიკის ძირითადი პრინციპია რესურსების მაქსიმალური გამოყენება, გარემოსადმი

მინიმალური დაბიმძურების მიყენების პირობებში. ეს მიიღწევა განახლებადი რესურსების გამოყენებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავების შედეგად.

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების მიმართულებთ გარკვეული ინსტიტუციური საფუძვლები მომზადებულია. კერძოდ: მიღებულია საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996); საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა; საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“: 2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი; ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; დაგეგმილია გადასახადებისგან სრულად განთავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვა;

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა საქართველოში „მწვანე“ და წრიული ეკონომიკის ფორმირების გზაზე არსებს არა ერთი მწვავე პრობლემა, რომლებიც ქმნიან შესაბამის საფრთხეებს. ეს საფრთხეებია:

1. მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპრო-დუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.;
2. ნიადაგის დაბინძურება, ეროზიული პროცესების გაძლიერება, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების გაძლიერება;
3. უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება;
4. არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგების ზრდა;
5. სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების არასრულყოფილი სისტემა;
6. ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების საშიშროება;
7. ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე;
8. არასრულყოფილი ნარჩენების მართვის სისტემა.

3. **პაპავა ვლადიმერ.** შესწავლილია COVID-19-ის პანდემიით, რუსეთ-უკრაინის ომით და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეები. კვლევის შედეგად გამოკვეთილია მაკროეკონომიკური (სახელმწიფო ვალის ზრდა, მაღალი ინფლაცია) და მიკროეკონომიკური (ეკონომიკის ზომბირება, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შეჩერება) საფრთხეები. რუსეთის ომმა უკრაინაში გაამწვავა მოსკოვის მიერ არალეგალური ტრანზაქციებში კრიპტოვალუტის გამოყენების საფრთხე. ასევე მწვავედ დადგა ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. საფუძველი ეყრება საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის პროცესს, თუმცა რეალურად აშშ დოლარის ჩანაცვლება სხვა ვალუტების მიერ ჯერ-ჯერობით და მეტ-ნაკლებად განჭვრეტად მომავალშიც შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკის მომავალი ეკონომიკური მოდელის საფუძველი სავარაუდოდ იქნება „გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით“.
4. **პაპავა ვლადიმერ.** გამოკვლეულია პოსტკომუნისტური ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავ-შირებული ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობა იყო. ცალკე საფრთხეს ქმნიდა ის, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა თუ არა სახელმწიფოებრიობისათვის შესაბამისი ინსტიტუციები. განხილულია მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორივე გზისთვის - „შოკური თერაპიისა“ და „გრადუალიზმისთვის“, დამახასიათებელი ეკონომიკური საფრთხეები.
5. **ბურდული ვახტანგ .** განხორციელებულია საქართველოს რეგიონების თანამედროვე ეკონომიკური სიტუაციის სტატისტიკური ანალიზი, რომელშიც გამოვლენილია მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებლის სიდიდის მიხედვით საქართველოს რეგიონების ჩამორჩენილობა რუსეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეგიონების ანოლოგიურ მაჩვენებლებისგან,

საქართველოს რეგიონებს შორის კეთილდღეობის დონის უთანასწორობა. გამოვლენილია ასევე რეგიონების რიგ დარგში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებული დამატებული ღირებულების გადასახადის მაჩვენებლის დაბალი დონე. ამის გათვალისწინებით განხილულია რეგიონული ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების პრობლემები და რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ქვეყნის რეგიონების კოორდინაციის მექანიზმი ადაპტირებული უნდა იყოს გლობალიზაციის პირობებისადმი და ამ თვალსაზრისით განხილულია რეგიონების განვითარების სტრატეგიის სრულყოფის პრობლემები. ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია მართვის დეცენტრალიზაციასა და ცენტრლიაზაციას შორის თანაფარდობის პრობლემის მოგვარების რამდენიმე ხერხი.

6. **ბურდული ვახტანგ.** ნაშრომში განხილულია სირთულეები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციების განხორციელებას ეკონომიკის სექტორებში და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა, ასევე უახლოეს პერიოდში იმ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები, რომელიც საჭიროა ინოვაციების რეალიზაციისათვის ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში. მოკლედ განხილულია ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებს შორის ინოვაციების გავრცელებისა და დანერგვის ურთიერთკავშირის პრობლემები. შემდეგ შემოთავაზებულია და დასაბუთებული ინოვაციების (უპირატესად საბაზისო, როგორც საპროცესო, ასევე საპროდუქტოების) რეალიზაციის სტრატეგია ენერგეტიკის სექტორში და მრეწველობის რიგ ქვესექტორში (ელექტროტექნიკური მრეწველობა, კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა).

ამრიგად, ნაშრომის პირველ ნაწილში ნაჩვენებია, რომ არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის წარმოებაში საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების ფართოდ დანერგვას და, მაშასადამე, ეკონომიკის დაჩქარებულ და დაბალანსებულ განვითარებას. ეს პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების მოზიდვის სირთულეებთან, უცხოურ ბაზრებზე გამოსაშვებად დასახული პროდუქციის გასაღების სირთულეებთან, ასევე ინოვაციების დაფინანსების სირთულეებთან. ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების აბსოლუტური უმეტესობა საქართველომ, ისევე, როგორც სხვა მცირე და საშუალო ქვეყნების უმეტესობა, იძულებულია შემოიტანოს ქვეყანაში ან ახალი საპროცესო ტექნოლოგიების იმპორტისა, ან უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციის გზით. ამ პრობლემის გადაჭრაში ბიზნესს ხელი უნდა შეუწყონ ინოვაციური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებმა, რომლებიც ნაშრომის პირველ ნაწილშია აღწერილი. ეს არის საპროფილო სამინისტროები და შესაბამისი ქვედანაყოფები მსხვილ საწარმოებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ხელშემწყობი ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები. ჩვენი აზრით, ინოვაციური საწარმოების (საბაზისო ინოვაციები) შექმნისა და გასაუმჯობესებელი ინოვაციების კოორდინაცია უნდა განახორციელონ **ტექნოპარკებმა**, რომლებიც უნდა შეიქმნას პრიორიტეტულად მიჩნეული სექტორებისა ან ქვესექტორებისათვის, ან რამდენიმე წარმოებულად ურთიერთდაკავშირებული ქვესექტორისათვის.

ჩვენი აზრით, ტექნოპარკის მთავარი ამოცანები უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტულად მიჩნეული ეკონომიკის სექტორებისა და ქვესექტორებისათვის საზღვარგარეთში საჭირო უახლესი ტექნოლოგიების გამოვლენა, მათი შესყიდვის და ათვისების მხარდაჭერა, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა აღჭურვილობის მონტაჟისა და ადგილობრივი თანამშრომლების სწავლებისათვის, წარმოებისათვის დასახული პროდუქციისათვის გასაღების პოტენციალური ბაზრების გამოვლენა, ამ მიზნების გადასაწყვეტად სამამულო უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან მეცნიერების მოწვევა, და, ასევე, ამ მეცნიერების მოზიდვა (სამუშაოების ანაზღაურებით) იმ აქტუალური უცხოური ტექნოლოგიების სრულყოფისათვის, რომელთა გამოყენება (საპროცესო ინოვაციები) ან დამზადება და რეალიზაცია (საპროდუქტო ინოვაციები) იგეგმება ქვეყნის საწარმოებში. ასევე საჭიროა რამდენიმე **ინოვაციური კლასტერის** ორგანიზება, რომელთა მაკოორდინირებელ ბირთვად ტექნოპარკი გვევლინება. ამასთან საჭიროა არა მრავალი ფაქტობრივად ფორმალური ინოვაციური კლასტერების შექმნა, არამედ რეალურების განვითარებისათვის პრიორიტეტულ დარგებში ინოვაციური ზრდის მხარდასაჭერად, როგორიცაა, მაგალითად, ენერგეტიკის და ელექტროტექნიკური მრეწველობის კლასტერი, კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების კლასტერი.

ნაშრომის პირველ ნაწილში ასევე განიხილება ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების პრობლემები. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ძირითადი ტვირთი თავის თავზე უნდა აიღოს ბიზნეს სექტორმა, ან ახალი აქტუალური საპროცესო ტექნოლოგიების შესყიდვის დაფინანსებით ან

უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციის საფუძველზე, სადაც დაფინანსების ნაწილს აიღებს უცხოელი პარტნიორი, რომელსაც შემოაქვს ქვეყანაში თავისი ტექნოლოგიები (რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მათი ღირებულება უნდა დაფაროს ადგილობრივმა ბიზნესმენმა, კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის თანახმად). ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსებაში პირველ რიგში უნდა მონაწილეობდნენ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და სააგენტო “აწარმოე საქართველოში”, განვითარებულ ქვეყნებში კერძო ბიზნესის განვითარების სამთავრობო სტიმულირების გაძლიერების ბოლო ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფომ ამისათვის მეტი თანხები უნდა გამოყოს. ჩვენი აზრით, გარკვეული წვლილი საქართველოში ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაში შეუძლიათ შეიტანონ რეგიონული განვითარების ევროპულმა ფონდმა და ევროპულმა თანადგომის ფონდმა. ნაშრომის მეორე ნაწილში წარდგენილია წინადადებები ეკონომიკის ზოგიერთ სექტორსა და ქვესექტორში უახლოეს პერსპექტივაში ინოვაციური განვითარების შესახებ.

აღნიშნულია, რომ იაფი ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის ქვეყნის ეკონომიკის სექტორებში. ამჟამად კი ქვეყანაში ელექტროენერგიის დიდი ნაწილი იმპორტით ხორციელდება. ამიტომ მომდევნო ათწლეულში **ენერგეტიკის სექტორში** აუცილებელია, რომ ყურადღება გამახვილდეს განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობაზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ქარისა და მზის ენერგიის გამოყენება ელექტროენერგიის გამომუშავებლად სულ უფრო აქტუალური ხდება და საჭიროა, რომ საქართველოს ბიზნესმენებმა და მეცნიერებმა გამოიყენონ სათანადო ძალისხმევა, რათა გაზარდონ ქვეყანაში შესაბამისი სადგურების რიცხოვნობა და უზრუნველყონ მათი უფრო სრული საიმედოობა ენერგიის დამაგროვლებით მათი მომარაგების (აღჭურვის) გზით.

ამისათვის (და არა მხოლოდ ამისათვის) საქართველოში საჭიროა **ელექტროტექნიკური მრეწველობის** განვითარება, რომელმაც უნდა ისწავლოს ელექტროენერგიის დამგროვებლის წარმოება: ლითიუმ-იონური აკუმულატორების (რომლებიც ამჟამად ინტენსიურად იხვეწება, ასევე მიმდინარებს ახალი ტიპების აკუმულატორების შემუშავებაც); ენერგიიას გრავიტაციული დამგროვებლის (რომლებიც სულ ახლახან გამოიგონეს); ჰიდროაკუმულირებადი ელექტროსადგურების. როგორც ჩანს, ახალი ტიპის აკუმულატორების შემუშავებასა და დახვეწაში ქართველმა მეცნიერებმაც უნდა ჩაერთონ და მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ სახელმწოფომ (და ბიზნესი) დააფინანსოს შესაბამისი კვლევები და შემუშავებები.

საქართველოში უკვე ფუნქციონირებს **კომპოზიტური მასალების და**, ძირითადად, **მათგან ნაკეთობების წარმოების** რამდენიმე ქარხანა. ვინაიდან უკვე გვაქვს გამოცდილება, უახლოეს მომავალში საჭიროა ამ ქვესექტორში ახალი, მსოფლიოში აღიარებული, წარმოებების შექმნა.

**საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სექტორში** არსებობს მეწარმეობის ორი მიმართულება: 1. საინფორმაციო-კომუნიკაციური აპარატურის წარმოება; 2. სხვადასხვა დარგში ციფრული ელექტრონიკის მიღწევების გამოყენება და განვითარება.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არ არსებობს უახლოეს მომავალში თანამედროვე კომპიუტერების, ტელევიზორების, სმართფონების და სხვა ძირითადი საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოების დაფუძნების შესაძლებლობა. ამ ბაზარს მტკიცედ ფლობენ ტრანსეროვნული კომპანიები და საეჭვოა თუ რომელიმე მადგანს მოუნდება ჩვენს მეწარმეებთან ერთობლივი საწარმოს შექმნა, მაგალითად, თანამედროვე ტელევიზორების ან სხვა ძირითადი პროდუქტების დასამზადებლად.

თუმცა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენმა მეწარმეებმა მოიხმარონ და განავითარონ ციფრული ელექტრონიკის (ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების) მიღწევები სხვა დარგებში გამოსაყენებლად. ამ მიმართულებათა ჭრილში საქართველოში უკვე დაარსდა მცირე ბიზნესის რამდენიმე საწარმო. მომდევნო ათწლეულში, ჩვენი აზრით, ქართულმა ბიზნესმა უნდა გააგრძელოს ამ მიმართულებებით ინიციატივების განხორციელება, მათ შორის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მხარდაჭერით.

შემდეგ, ნაშრომის მეორე ნაწილში, **სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქვესექტორში**, რიგი მცირე ქვეყნების მაგალითის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია და დასაბუთაბული მცირე, პროპელერზე მოძრავი, ელექტროთვითმფრინავების ამჟამად აქტუალური წარმოების ორგანიზება (რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იყოს კომპონენტების მიწოდებით კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის ქვესექტორებიდან). ამავე წესით შესაძლებელია ელექტრომობილების წარმოების ორგანიზება.

ექსპორტ-იმპორტის ნეგატიური სალდოს დაქვეითება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის შიგნით საწყისი ნედლეულის გადამუშავების ღრმა სტადიაზე თანდათანობითი გადასვლით. ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება **მსუბუქ მრეწველობას,** რომლის პროდუქცია თითქმის მთლიანად ქვეყანაში იმპორტით შემოდის. მსუბუქი მრეწველობის დარგების (ტექსტილის, სამკერვალო, ტყავისა და

ფეხსაცმლის) აღორძინების მიზნით, საჭიროა უარის თქმა მატყლისა და დაუმუშავებელი ტყავების ექსპორტზე. საჭიროა, რომ თანდათანობით შეიქმნას ინოვაციური ტექსტილისა და სამკერვალო საწარომოები, ტყავების გათრიმვლის ინოვაციური საწარმოები (სხვადასხვა ტიპის ნაწარმის დამზადებით), ფეხსაცმლისა და სხვა ტყავის ნაწარმის დამზადების ინოვაციური საწარმოები, ძირითადად ამისათვით ცნობილი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებთან ხელშეკრულებების დადების გზით (თუმცა ეს არის რთული, მაგრამ მიღწევადი).

7. **ბერულავა გიორგი, ცუცქირიძე მარინე.** მიკროეკონომიკური საკითხები და საფრთხეები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ სამი მნიშვნელოვანი მიკროეკონომიკური საკითხი, კერძოდ - შემოსავლების უთანასწორობა, არასაკმარისი ინოვაციებისა და R&D-ის აქტივობა და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე. კერძოდ, ჩვენ შევისწავლეთ, თუ რამდენად კონკრეტულად თითოეულმა ამ პრობლემამ შეუძლია შეაფერხოს განვითარების პროცესი. გარდა ამისა, ჩვენ განვიხილეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ შემოსავლების უთანასწორობა კვლავ რჩება არსებით გამოწვევად საქართველოში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალურ ერთიანობაზე და საერთო კეთილდღეობაზე. ძირეული მიზეზების მოგვარებით და მიზანმიმართული პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებით, საქართველოს შეუძლია ისწრაფოდეს უფრო ინკლუზიური საზოგადოებისკენ, სადაც შესაძლებლობები და სარგებელი უფრო სამართლიანად იქნება განაწილებული მის მოქალაქეებს შორის. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეფექტური საინოვაციო პოლიტიკის და ჯანსაღი ინსტიტუტების ჩარჩოში, საქართველოს სტრატეგიული ინვესტიციები ინოვაციებსა და R&D-ში უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ წინსვლას და აძლიერებს ადამიანურ კაპიტალს. თუმცა, არსებული ძალისხმევა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება საქართველოში. ამ კვლევაში ჩვენ ვნახეთ, რომ მიუხედავად გარკვეული მიღწეული პროგრესისა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით, საქართველოში კვლავ რჩება არსებითი სირთულეები ადგილობრივი ბიზნესისთვის კრედიტისა და ფინანსების მოპოვების სფეროში. საბოლოოდ, ლიტერატურის მიმოხილვისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციების კომპლექსი მიკროეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

8. **კვარაცხელია მურმან.** სტატიაში გადმოცემულია გლობალიზაციის პროცესის შეუქცევადობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფაში. მნიშვნელოვანია მისი გავლენა ერთიანი თამაშის წესების ჩამოყალიბებაში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებასთან. გლობალიზაციის დაჩქარებულმა პროცესებმა წარმოშვა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოწვევები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის მნიშვნელობის. კერძოდ, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისაც კი. ყოველივე ეს ცვლის სახელმწიფოების, როგორც ეკონომიკური პროცესების მონაწილის ფუნქციებსა და შესაძლებლობებს.

   გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა ტიპის ქვეყნების, კერძოდ კი, განვითრებადი სახელმწიფოების ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნის პრობლემა. ამ შემთხვევაში ამ პროცესების შემარბილებელ ფაქტორად შეიძლება აღმოჩნდეს მათ საკუთრებაში არსებული რესურსების განაწილების დილემა. ამ მხრივ არსებული პრობლემები მომავლის პროგნოზირებისთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, რადგან სწორედ მაღალი ტექნოლოგიების პირობებში რესურსებმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ, შედარებით მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნების, არსებობისა და განვითარების პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობა. ამდენად, გლობალიზაცია ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეების გამომწვევი და დამარეგულირებელი ფაქტორიც შეიძლება გახდეს.

9. **ლაზარაშვილი თეა.** ნაშრომში გაშუქებულია ინვესტიციური უსაფრთხოების არსი და მისი უზრუნველყოფის საკითხები, როგორც ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდის მთავარი ფაქტორი. გამოკვლეულია თუ რა გავლენას ახდენს ინვესტიციური პროცესი ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. დინამიკაშია გაშუქებული გარე და შიგა ინვესტიციები საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიცებზე, გაანალიზებულია მათი სტრუქტურა და გამოვლენილია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები და შემოთავაზებული მათი თავიდან აცილების გზები.

10. **ჯავახიშვილი რევაზ.** ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები: საქონელბრუნვისა და ექსპორტ-იმპორტის დინამიკის, მათი თანაფარდობის, სასაქონლო სტრუქტურის, ექსპორტით იმპორტის გადაფარვისა და სავაჭრო სალდოს მონაცემები.

კვლევის შედეგად გამოვლენილია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და არსებული გამოწვევები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული, საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ საფრთხეებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე.

11. **ხუსკივაძე მამუკა.** თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებულ მწვავე პრობლემათა შორის აქტუალურია და სულ უფრო ღრმავდება ტყის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა. ის კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს მსოფლიო მოსახლეობის განუხრელი ზრდის პირობებში. ეს განპირობებულია იმით, რომ ტყის რესურსები ნებისმიერი ცოცხალი სამყაროს არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსია. იგი წარმოადგენს ბიოსფეროს მნიშვნელოვან კომპონენტს, ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირბადის გარკვეული პროპორციით თანაფარდობას. მას გააჩნია მრავალგვარი ფუნქციები: კლიმატისა და წყლის მარეგულირებელი, აირგამცვლელი, ნიადაგდაცვითი და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი და სამართლიანად ითვლება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად. ტყით დაფარული ფართობის ქვეყნის მთლიან ტერიტორიასთან თანაფარდობის მაჩვენებლით საქართველო მიეკუთვნება ტყით მდიდარ ქვეყნებს, თუმცა ტყის სექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამგვარი სიტუაციის ჩამოყალიბება დიდწილად განაპირობა არა მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციამ, არამედ ძირითადად ტყის რესურსების ექსპორტმა, რამაც ბუნებრივია შეამცირა ამ სექტორის საექსპორტო შემოსავლები და შესაბამისად მისი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის პროცესში ჩნდება როგორც შესაძლებლობები, ისე ახალი გამოწვევები, რაც გამოწვეულია ტყეების მართვის სტანდარტების ცვლილებით, რომლებმაც უნდა უპასუხონ მზარდ საერთაშორისო, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნებს. იზრდება კლიმატის ცვლილებით, მავნე ორგანიზმებით და სხვა არახელსაყრელი ფაქტორების ზეგავლენით ტყეების განადგურების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები. ყოველივე აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის, მისი გამოყენებისა და დაცვის პრობლემური საკითხების შესწავლის აუცილებლობას. სწორედ ამ კონტექსტში ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობა. გაშუქებულია ის ძირითადი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საფრთხეები, რომლებიც წარმოიშობა ტყის ფუნქციების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების პირობებში და რომლებსაც იწვევს არაოპტიმალური ტყითსარგებლობის მოდელის გამოყენება. შემოთავაზებულია აღნიშნული საფრთხეების შერბილების და დაძლევის ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებები. ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია დასკვნები, რომლებიც მიღებულია დასმული აქტუალური საკითხის შესწავლის და შედეგთა განზოგადების საფუძველზე.

12. **აბესაძე რამაზ, ბიბილაშვილი ნანა,თაფლაძე თამარ, კურატაშვილი ქრისტინე.** გამოკვლეულია ქსელური ეკონომიკის არსი, გამოვლენილია ამ მიართულებით საქართველოს ეკონომიკაში არსებული საფრთხეები და შემოთავაზებულია ამ საფრთხეთა თავიდან აცილების გზები.

ევროპის კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში 1997 წელს ქსელური ეკონომიკა განიმარტება როგორც გარემო, რომელშიც ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ წერტილში მყოფ ნებისმიერ კომპანიას და ინდივიდს, ინტერნეტ-ტექნოლოგიების მეშვეობით შეუძლიათ იოლად და მინიმალური დანახარჯებით კონტაქტი დაამყარონ სხვა კომპანიასთან ან ინდივიდთან, ერთობლივი სამუშაოს განხორციელებასთან, ვაჭრობასთან, იდეებისა და "know-how"-ს გაცვლასთან დაკავშირებით ან უბრალოდ პირადი სიამოვნებისათვის. ქსელური ეკონომიკის საფუძველია ქსელური ორგანიზაციები. ქსელური საქონელი ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავდება იმით, რომ ქსელში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის ზრდა იწვევს ამ საქონლისაგან მიღებული სარგებელის ზრდას.

მართვის ქსელური მეთოდი არსებითად განსხვავდება ამჟამად არსებული იერარქიული და საბაზრო მეთოდებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1. კომუნიკაციის ახალი ელექტრონული საშუალებების დანერგვა საშუალებას იძლევა ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარდეს მრავალფეროვანი და მრავალდონიანი კავშირები;
2. ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეობის ფასეულობა იზრდება მათში მონაწილეთა რიცხოვნობის ზრდის დროს, რაც იწვევს მასში ახალი და ახალი წევრების ჩაბმას;
3. ქსელური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მცირე მუდმივი დანახარჯები და არაარსებითი ზღვრული დანახარჯები;
4. ქსელურ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისაგან მიღებული სარგებელი იზრდება, ხოლო ფასი

კი მცირდება მასში მონაწილე პირთა ზრდასთან ერთად;

5. ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი სახეცვლილების უნარი;
6. ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეებისათვის სასარგებლოა საერთო ინტერესების დაცვა;
7. ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს თვითორგანიზაციისა და თვითგანახლების დიდი უნარი.

საქართველოში ქსელური ეკონომიკის განვითარების დონე დაბალია. ამაზე მეტყველებს ქსელური მზადყოფნის საერთაშორისო ინდექსის სიდიდე, რომლის მიხედვითაც საქართველო 144 ქვეყნიდან 75-ე ადგილზეა.

საქართველოში ქსელური ეკონომიკის ფორმირების საფრთხეებიდან შეიძლება დავასახელოთ: საინფორმაციო-კომუნიკაციური ტენოლოგიების განვითარების არცთუ მაღალი დონე; კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების სუსტი მიმღებლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიმართ; სამართლებრივი ბაზის არაეფექტიანობა; საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა.

13. **ქავთარაძე თენგიზ, დათუნაშვილი ლინა.** ნაშრომი შეისწავლის საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობის ცალკეული დარგების, მათ შორის ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარებას, ამ საქმეში არსებულ პრობლემებსა და ეკონომიკურ სარფთხეებს. განხილულია მეცხოველეობის ცალკეული დარგებისა და საკვებწარმოების განვითარების პრობლემები და ეკონომიკური საკითხები. მოცემულია დარგის განვითარები პერსპექტივები.

14. **კაკულია ეთერი.** ნაშრომში გაშუქებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც ინკლუზიური ზრდის ძირითადი საშუალება. დინამიკაშია განხილული მცირე და საშუალო საწარმოთა ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლები პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდში. გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოში, მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და მისგან გამოწვეული საფრთხეები.

15. **ბრეგვაძე გიორგი.** მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი დარგია, რომელიც გამოირჩევა არსებითი სპეციფიკურობით და რომლის განვითარებაც მეტ-ნაკლები დონით ინვესტორების მოზიდვასთან არის დაკავშირებული. ეს კი შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს არსებობითა და სწორი სამართლებრივი რეგულირებით.

მშენებლობის სფერო რეგულირდება არაერთი კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, რომლებიც რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. გარდა ამისა, მშენებლობის სფეროში არსებული კანონმდებლობა მოიცავს ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ ბარიერებს, რაც სერიოზულ დროსა და ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. საბოლოო ჯამში კი ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მშენებლობის სფეროში მეწარმეობის სტიმულირებაზე.

16. **თოთლაძე ლია.** საქართველოში წლების განმავლობაში ხორციელდება საერთაშორისო ეკონომიკური პროგრამები, რომელთა მიზანია ქვეყანაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო პროგრამების ანალიზი. მოცემულია სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და მათ იმპლიმენტაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. განხილულ საკითხებს შორისაა:

USAID-ის საქართველოში მოქმედი 35-ზე მეტი პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საქართველოს მავნე გარე ზეგავლენის წინააღმდეგ გაძლიერება, ანგარიშვალდებული მმართველობის ხარჯზე დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია და მაღალანაზღაურებადი, მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

***ევროკავშირის*** მხარდაჭერა ხორციელდება საქართველოს მისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით. ეს მოიცავს ევროკავშირის საკანონმდელო სტანდარტებთან თანხვედრაში დახმარებას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ეს შეთანხმება განსაკუთრებული ტიპის შეთანხმებად არის მიჩნეული, რადგან მას აქვს ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირების ამბიციური ამოცანა. DCFTA ასოცირების შეთანხმების მთავარი ღერძია და საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას ეხმარება.

***UNDP-ის*** ეკონომიკური განვითარების პროგრამა ხელს უწყობს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის შემცირებას. საქართველოს ეკონომიკურ წარმატების მისაღწევად, პროგრამის მიზანია სტრუქტურული და სისტემური ხარვეზების აღმოფხვრა და თანამშრომლობის სივრცის შექმნა მდგრადი, თანასწორი და კლიმატგონივრული ეკონომიკური ზრდისთვის. ამ მხრივ, პროგრამა ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკის, ინსტიტუტებისა და სისტემების შექმნას და ისეთი სფეროების განვითარებას, როგორიცაა ადგილობრივი მეწარმეობა, ინოვაციები, ციფრული გარდაქმნა და შრომის

ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლება და გადამზადება.

ნაშრომში მოიცავს აგრეთვე განათლების მიმართულებით ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამების ანალიზსაც.

ზემოთაღნიშნული პროგრამების იმპლიმენტაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის საფრთხეებთან, რომელთა შორის უნდა გამოიყოს:

**ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები:** სუსტად განვითარებული ეკონომიკა საქართველოს სერიოზული გამოწვევაა, ვინაიდან მდგრადი განვითარების გარეშე საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დაბალი რჩება. ფასების დონის ზრდა, უმუშევრობის მაღალ დონეს და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვის ზრდა, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, ასევე ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, კორუფცია, არაკომპეტენტურობა მართვაში და არაკვალიფიციური პერსონალი, შეცდომები დაგეგმვასა და განხორციელებაში; ასევე არსებითია რომ კორუფციამ და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანმა სისტემამ, თუ მათი მოგვარება არ იქცევა მუდმივი ზრუნვის საგნად, შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროგრამების განხორციელებას;

**ენერგეტიკული გამოწვევები:** საქართველოს დამოკიდებულება ისეთი სახელმწიფოს ენერგო-რესურსებზე, სადაც თავისუფალი ბაზარი და საკუთრების უფლება გარანტირებული არ არის, ასევე ადგილობრივი ენერგიის წყაროების არასაკმარისი განვითარება, ენერგიის არასტაბილური მოწოდება და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მძიმე ტექნიკური მდგომარეობა;

**ეკოლოგიური გამოწვევები:** ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესებას, ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ უბედურებებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, მისი მოქალაქეების კეთილდღეობას და ბიომრავალფეროვნებას. საქართველოს მდებარეობა სეისმურად აქტიურ ზონაში ზრდის მისი დაუცველობის ხარისხს ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.

17. **ბერიშვილი ხათუნა.** რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. რუსეთზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც იმ ქვეყნებზეც აისახება, რომლებსაც მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნიათ.

რუსეთ–საქართველოს შორის ჯერ კიდევ არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე რუსული კაპიტალდაბანდებები ყოველწლიურად იზრდება, რაც თავის მხრივ ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის დადებითი მოვლენაა, თუმცა აღნიშნული ინვესტიციების ისეთ სტრატეგიულ სექტორებში განთავსება როგორიცაა: ბუნებრივი რესურსების მოპოვება, ენერგეტიკა ფინანსური სექტორი, რუსეთის მხარეს ეკონომიკური ექსპანსიის საშუალებას აძლევს. რუსეთმა შესაძლოა პოლიტიკური მოტივით საქართველოდან გაიტანოს საკუთარი ინვესტიციები, რაც ქვეყანაში მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს. საქართველოში რუსული კომპანიების ზრდის ფონზე რუსეთს ექმნება შესაძლებლობა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს უმუშევრობის დონეზე.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური აგრესიის თავიდან სრულად აცილებისათვის რაიმე მზა ქმედებათა ერთობლიობის შემუშავება რთული იქნება, თუმცა აღნიშნული პოტენციური ეკონომიკური აგრესიის პროგნოზირება მეტ–ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო მისი მაშტაბურობის შემცირებისათვის სახელმწიფომ გარკვეული პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომელიც შეამცირებს მომავალში რუსული ბაზრის ჩაკეტვის შედეგად გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

18. **დავლაშერიძე ნატა.** ნაშრომში ვლინდება ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება, ნობელის პრემიის ლაურეატთა ნაშრომებში განსაკუთრებით 2008-2009 წლების კრიზისის შემდეგ. აღნიშნულია, რომ სწორედ ამ პერიოდში მოექცა ეს თემა კვლევის ცენტრში, რადგან აშკარა გახდა, რომ კრიზისი მაკროპოლიტიკის საკითხებში ეკონომისტების შეცდომებმა გამოიწვია.

შედეგად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 6 ძირითადი ფაქტორი, რომელთა კვლევისთვისაც იქნა მინიჭებული ნობელის პრემიები პირველ რიგში, ეს არის პრაქტიკული რეკომენდაციები საბაზრო ძალაუფლებისა და ზოგადად ბაზრების სტრუქტურის რეგულირებისთვის. ამ მაკრო პარამეტრებთან ერთად გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი მიკროეკონომიკური ფაქტორები (კორპორატიული ხელშეკრულებები, ახალი აუქციონის ფორმატები). მესამე მიმართულება იყო განსაკუთრებული (სპეციალური) აქცენტი შრომის ბაზრებზე (მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები, ქალის როლი და ა.შ.). მეოთხე არის ფინანსური კრიზისების და ბანკების მუშაობის ანალიზი. შემდეგი, აუცილებელია ხაზი გავუსვათ ცალკეული პრობლემების - ტექნოლოგიური ინოვაციებისა და კლიმატის - ინტეგრაციას სახელმწიფოების გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. საბოლოოდ, მეექვსე ტენდენციის (ტრენდის) ერთგვარი შედეგი იყო დავოსის ეკონომიკური ფორუმის დასკვნები 2023 წელს, სადაც ნობელის პრემიის ლაურეატებმა ფაქტობრივად მიიღეს მხარდაჭერა მილიარდერებისგან, პრეზიდენტებისგან, პრემიერ-

მინისტრებისგან, ბანკების მფლობელებისგან და ა.შ. ტრადიციულმა კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი და აუცილებელია ფუნდამენტურად ახალი ქცევითი ეკონომიკის, გარკვეულ დაინტერესებულ მხარეთა - ე.წ. სტეიკჰოლდერ კაპიტალიზმის აშენება, ანუ მოცული იქნეს სოციალურ ღირებულებები, კეთილდღეობისა და მოხმარების ახალ პრინციპებისა და სიღარიბის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემაში ხელოვნური ინტელექტის (AI) როლისადმი ნობელის პრემიის ლაურეატთა მიდგომებს.

19. **ქისტაური ნუნუ.** ნაშრომი ეხება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიცაა მრეწველობა, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და შესაბამისად მისი მოსახლეობის კეთილდღეობა.
დღეს საქართველოს მრეწველობა, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკა, რთულ პროცესში იმყოფება, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. საბჭოური ეკონომიკის რღვევის პროცესები საქართველოსთვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა, რადგანაც ეკონომიკაში შეიქმნა კატასტროფული მდგომარეობა. ამის მიზეზები კი შემდეგი იყო: ეკონომიკური კავშირების რღვევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ქვეყნისათვის შეუფერებელი მოდელის შერჩევა; სახელმწიფოს როლის იგნონირება ეკონომიკის მართვაში; საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა ეკონომიკურ გარდაქმნებთან; არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და სხვ.
ნაშრომში გაანალიზებულია მრეწველობის დარგის დღევანდელი მდგომარეობა შესაბამისი ციფრობრივი მასალის საფუძველზე და ნაჩვენებია, რომ დღეისთვისაც საქართველოს მრეწველობის წინაშე იდენტური პრობლემები დგას. აქ ჩამოყალიბებულია ქვეყნის მრეწველობის წინაშე მდგომი საფრთხეები და შეძლებისდაგვარად დასახულია მრეწველობის განვითარებისათვის მათი თავიდან აცილების გზები.

20. **ქველაძე ქეთევან.** ნაშრომი ეხება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის მომსახურების სფეროს, როგორც ეკონომიკის მესამე სექტორის, ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებს, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ცხოვრების მაღალი სტანდარტების მიღწევა და შესაბამისად მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.
დღეს საქართველოს განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკა, განვითარების რთულ, კრიზისულ პროცესში იმყოფება, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების მომსახურების ყველა სფერო მოიცვა. ნაშრომში შესაბამისი ციფრობრივი მასალის საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოში განათლების, ჯანდაცვის, ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობა, ბოლო წლების განმავლობაში წარმოქმნილი პრობლემები და ჩამოყალიბებულია ქვეყნის მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი დარგების: განათლების, ჯანდაცვის, ტურიზმის წინაშე მდგომი ეკონომიკური საფრთხეები და შეძლებისდაგვარად დასახულია მათი თავიდან აცილების ზოგადი გზები.

21. **გოგოხია თეიმურაზ.** ნაშრომში განხილულია ფირმის მარკეტინგული მიკროგარემოს არსი, მისი როლი და მნიშვნელობა ფირმის ფუნქციონირებაში, მათ შორის ფირმის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში. აღწერილია ფირმის მარკეტინგულ მიკროგარემოში მოქმედი სუბიექტები და მათი საქმიანობის თავისებურებები, რომელიც, ერთი მხრივ, ფირმის კომერციული წარმატების (მათ შორის კონკურენტული უპირატესობის) მიღწევის შესაძლებლობებს მოიცავს, ხოლო მეორე მხრივ - ფირმის გამართულად ფუნქციონირებისთვის პოტენციურ საფრთხეებსა და რისკებს მოასწავებს.
ამასთან, პოტენციური საფრთხეებისა და რისკების მომცველი მარკეტინგული მიკროგარემო განხილულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების ჭრილში. შესაბამისად, დასაბუთებულია ფირმაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა მარკეტინგული მიკროგარემოს ძალებისა და ფაქტორების პოტენციური ცვლილებების მიმართ.
ჩამოყალიბებულია მარკეტინგული მიკროგარემოს, როგორც შესაძლო ზიანის მომტანი, შესაძლო ხიფათებისა და რისკების მომცველი არეალის, მიმართ ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური მიდგომები და პრინციპები.

22. **ქორქიკაშვილი ნინო.** ნაშრომში განხილულია საქართველოს კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტის სექტორში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები, არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები. ვინაიდან გლობალიზაციის პირობებში მწვანე ეკონომიკა ძალზედ აქტუალურია, შესაბამისად კავშირგაბმულობასა და სატრანსპორტო სექტორში მიმდინარე პროცესები დიდ გავლენას ახდენს მასზე და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ნაშრომში ასევე განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ხედვა და სამოქმედო სტრატეგიები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელთა გათვალისწინება გადამწყვეტია ევროინტეგრაციის პროცესში.

23. **წერეთელი ზურაბ.** ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მთელი ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა დამოკიდებულია ტერიტორიებისა და საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების დონის სტაბილურობაზე, აღნიშნული წარმოშობს ეკონომიკური კვლევების აუცილებლობას, რაც საჭიროა არა მხოლოდ მეწარმეებისათვის, არამედ ხელისუფლებებისათვისაც.

ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან შიდა და გარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

ნაშრომში წარმოდგენილია საინვესტიციო მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები. ხაზგასმულია მთავრობის როლი საინვესტიციო კანონმდებლობის გაუმჯობესებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმების შესაბამისი საინვესტიციო მაკრო და მიკრო გარემოს შექმნას. თვალსაჩინოა იმ საფრთხეების განეიტრალების პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც საწარმოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე მოქმედებენ.

24. **დვალიშვილი ლია.** ნაშრომში გაანალიზებულია თუ როგორ უკავშირდება ქვეყნის ბუნებრივი რესურსები მის წინსვლას და განვითარებას, ამ ქვეყნის შედარებით უპირატესობას სხვა ქვეყნებთან მიმართებით, რასაც იწვევს იმ საქონლით ვაჭრობის მომგებიანობა, რომლის წარმოება ამ რესურსზეა დამოკიდებული.

ვრცლად მიმოხილულია არაგანახლებადი რესურსების თაობაზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი ფუნქციონირებისთვის, რადგან ამ რესურსებზე მოთხოვნა იზრდება გლობალური მოსახლეობის გაფართოების ხარჯზე. არაგანახლებადი რესურსების გამოყენებამ უფრო ფართო სპექტრი შეიძინა განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად. არაგანახლებადი რესურსებით მიღებული ენერგია ჯერ კიდევ დომინანტია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჩვენის ქვეყნის მრავალფეროვანი და უნიკალური რესურსების თაობაზე, მათ შორის მინერალურ რესურსებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.

გამოკვეთილია მთელი რიგი გამოწვევები და საფრთხეები, რაც თან ახლავს ზემოთ აღნიშნული დარგების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

მითითებულია, რომ არაგანახლებადი რესურსების სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი მართვა არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო განვითარების საფუძველი, რაც უფრო ატუალურად იქცევს უფრო მეტი ყურადღების დათმობას არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ჯგუფების მხრიდან.

25. **მელაშვილი მედეა.** ნაშრომში გაანალიზებულია ნებისმიერი ქვეყნისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულების მთავარ ინსტრუმენტს. აქ მოცემულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განმარტება: ქვეყნის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.

ნაშრომში მოყვანილია ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქრურა, ძირითადი პრინციპები, შესაბამისი საკმაოდ საინტერესო ციფრობრივი მასალა. აქ აგრეთვე განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტის სრულყოფილ განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები და საქართველოში შეძლებისდაგვარად მათგან თავდაცვის გზები.

26. **თეთრაული ციცინო.** სიცოცხლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის ისტორიასთან. ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსის არსი და მნიშვნელობა ცივილიზაციის არსებობის შენარჩუნებისათვის, მდგრადი განვითარების კონცეფციის პირობებში. დახასიათებულია საქართველოს ნიადაგის ტიპები, მისი სტრუქტურა, ასევე ის სააფრთხეები, როგორიცაა: ნიადაგის ეროზია, გამოფიტვა, დეგრადაგცია და იმ პრევენციული ღონისძიებებს გატარების აუცილებლობა, რომელიც თავიდან აგვაცილებს აღნიშნულ საფრთხეებს. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტებით, ხშირია ისეთი ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა: მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და ა.შ.

ნაშრომში განხილულია იმ პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობა რაც თავიდან აგვაცილებს მსგავს საფრთხეებს. გაანალიზებულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და ის პოტენციალი, რომელიც ქვეყანას გააჩნია რათა გახდეს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების

მწარმოებელი, ასევე გაზარდოს მარცვლეულის წარმოება და არ იყოს თითქმის (94%) ხორბალზე იმპორტდამოკიდებული. მაშინ როდესაც, მსოფლიო დადგა ისეთი ახალი გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორიცაა პანდემია, ომები. მსოფლიოში მიდის გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება და ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირება. ამის ფონზე ხორბალი კიდევ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი ხდება. იაფი პროდუქტის ხანა დამთავრდა მსოფლიოში.

ნაშრომში ასევე გამოკვლეულია ისრაელის, კიბუცების ფენომენი, რომლის დანერგვასაც დიდი ხანია მხარს უჭერს ჩვენი საპატრიარქო და თვითონ ჩვენი კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II. თუ მთავრობა განახორციელებს კიბუცების საპილოტე პროგრამას, დიდი ალბათობით ეს ჩვენთანაც გაამართლებს, რაც ჩვენს აგრარულ სფეროს ააღორძინებს.

ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის აუცილებლობა ისეთი საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროს გაძლიერებისათვის, ახალი კადრების მომზადებისათვის, ძველის გამოყენებისათვის, როგორიცაა: გეოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, გეოგრაფია, აგრონომია, ბოტანიკა და ა.შ. რეგიონალური მასშტაბით აგრარულ სფეროში ცნობიერების ამაღლება. აგრარული სექტორი უნდა გახდეს ქვეყნისათვის პრიორიტეტული, წახალისებული და პრესტიჟული. რა არის მიწა? ყველაფერი მოდის მისგან და ყველაფერი უბრუნდება მას. მისგან გვაქვს „პური ჩვენი არსობისა".

27. **ნოზაძე ზურაბ.** ნაშრომი განხილულია წყლის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა, მოცემულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ძირითადი მაჩვენებლები რამდენიმე წლის დინამიკაში.
მოცემულია ცხრილების სახით საქართველოს დიდი და საშუალო მდინარეები, საქართველოს ძირითადი ტბები და წყალსაცავები, წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი მაჩვენებლები, წყალსატევებში ზოგიერთი მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონე.
განხილულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.
გაანალიზებულია წყლის ხარისხის კონტროლის ძირითადი მოთხოვნილებები, რეგულირება და ნორმირება. მოცემულია მიწისქვეშა წყლების ძირითადი დამცავი ღონისძიებები, განხილულია წყადამცავი ზონებისა და სანაპირო ზოლების საკითხში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში.

## 3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტი** - პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით". **საგრანტო ხელშეკრულება №MG-ISE-23-636,** დარგი - „ეკონომიკა",7-8 ოქტომბერი 2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **რამაზ აბესაძე** - პროექტის ხელმძღვანელი;
2. **თეა ლაზარაშვილი** - პროექტის კოორდინატორი;
3. **ლია თოთლაძე** - ძირითადი პერსონალი;
4. **მამუკა ხუსკივაძე** - ძირითადი პერსონალი;
5. **თემურ გოგოხია** - ძირითადი პერსონალი.

***დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

1. ღონისძიების საერთაშორისო მასშტაბი და მასში უცხოელი მეცნიერების მონაწილეობა ადასტურებს რომ პროექტი, მისი ამოცანები, დაგეგმილი აქტივობები სრულ შესაბამისობაშია მიზნებთან.

ღონისძიების მნიშვნელოვნებას განაპირობებს როგორც კონფერენციის თემატიკა, აგრეთვე მნიშვნელოვანი თარიღი, რომელსაც ეძღვნება ეს სამეცნიერო ღონისძიება. თანამედროვე სამყარო უდიდესი

გამოწვევების წინაშე დგას, მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების თანამდევ პრობლემებს დაემატა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამოწვევები. არსებული მდგომარეობა მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რაც მეცნიერული კვლევის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ასეთი აქტუალური საკითხების განხილვა იგეგმება კონფერენციის ფორმატში.

პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მეცნიერების დარგისათვის. იგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და მისი პოპულარობის ზრდას; ასევე დახმარებას გაუწევს ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩართულობის გაღრმავებას, ინსტიტუტის საქმიანობის პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანია გამოჩენილი ქართველი ეკონომისტ-მეცნიერის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, მისი ღვაწლის დაფასებისა და მომავალი თაობის აღზრდაში წვლილის შეტანის მიმართებით. გიორგი პაპავა ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების საქმეში. მის სახელს უკავშირდება ახალი ეკონომიკური მიმართულების შემოტანა და არაერთი სამეცნიერო სიახლე. ფასდაუდებელია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში.

გარდა ამისა:

1. კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებებს ექნებათ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნეობა, ეკონომიკური მრცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართებით გამოითქმება არაერთი ორიგინალური შეხედუ;ება და სამეცნიერო სიახლე, რაც გაამდიდრებს მეცნიერების წარმოდგენილ დარგს.
2. მოხსენებები გამოყენებული იქნება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტენის მიერ, როგორც დამხმარე მასალად ლექციებისა და სემინარებისათვის
3. მოხსენებათა და კონფერენციაზე გამართული დისკუსიის საფუძველზე შემუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის ამაღლებასა და ბიზნესსტრუქტურების საქმიაბობის გაუმჯობესებას.

## 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა


1. Abesadze R.Georgias innovative policy and system. “Ekonomisti” 2023 № 1 (ERIH). p. 8-23. DOI: https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.RAMAZ.ABESADZE chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ekonomisti.tsu.ge/uploads/images/2023ekon1.pdf
2. **პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში**. DOI: https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-8-18. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში.* ISBN 978-9941-8-5764-5. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 8-18, <https://gruni.edu.ge/uploads/files/University/gamocemebi/V_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_ISBN_DOI.pdf>.
3. **ლაზარაშვილი თეა, ვერულავა თენგიზ, ომანაძე ქეთევან. ჰოსპიტალური სერვისების ანტიკრიზისული მართვის გამოწვევები საქართველოში.** საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2023, #2, გვ. 86-103. DOI: https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.TENGIZ.VERULAVA.KETEVAN.OMANADZE.TEA.LAZARASHVILI chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ekonomisti.tsu.ge/uploads/images/ekon2-2023.pdf
4. **ქველაძე ქეთევან, ქისტაური ნუნუ , მელაშვილი მედეა. ენოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.** საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“,

2023, #3, გვ. 29-35.
DOI:https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Ketevan.Kveladze/Nunu.Kistauri/Medea.Melashvili

5. **რევაზ ჯავახიშვილი . იაპონიის მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.** საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2023, #3, გვ. 52-59. DOI: https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Revaz.Javakhishvili
6. **თოთლაძე ლია. ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე ზეგავლენის მოდელირება.** საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2023, #2, გვ. 104-112. DOI: https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.02.LIA.TOTLADZE
7. **ბურდული ვახტანგ. Глобальные экономические опасности и их влияние на национальную экономическую безопасность.** საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2023, #1, გვ. 24-54. DOI: https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.VAKHTANG.BURDULI

## *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. გამოკვლეულია საქართველოში ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ფორმირების პროცესები და განსაზღვრულია საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ დაქვეითებას, რამაც გამოიწვია არსებული ინოვაციური სისტემის დეგრადაცია (სამეცნიერო პოტენციალის დაქვეითება, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, სახელმწიფოს მიერ მეცნიერებისა და გამომგონებლობის სტიმულირების დაქვეითება და ა. შ.). ამას ემატებოდა ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური განვითარების გზაზე დაშვებული იქნა არაერთი შე-ცდომა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ მთავარ მიმართულებად არ იქნა აღიარებული ეკონომიკის ინოვაციური განვითარების, ცოდნაზე დაფუძნებული ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზა. განსაკუთრებით არასწორი პოლიტიკა ტარდებოდა სამეცნიერო სფეროში, რაც ინოვაციური პოლიტიკის საფუძველთა საფუძველია.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ფორმირების და ამის პარალელურად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ინოვაციების დანერგვის მიმართულებით 2016 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ მიღებული იქნა კანონი „ინოვაციების შესახებ“; შეიქმნა მთავრობის სათათბირო ორგანო, საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი; დაარსდა თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის, თელავის, გურჯაანისა და კასპის ტექნოპარკები; ახმეტის, რუხის, ხარაგაულის, ჭოპორტისა და ბაღდათის ინოვაციების ცენტრები, ფაბლაბები უმაღლესი სასწავლებლების, ტექნოპარკებისა და პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე, სილიკონ ველი თბილისი;

რაც შეეხება ბიზნეს კლასტერებს, მათ საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვთ. 2017 წელს დაარსდა პირველი კლასტერი – ქართული ავეჯის კლასტერი, იმავე წელს – საქართველოს კინოკლასტერი, მოგვიანებით კი – საქართველოს აისიტი (ICT) კლასტერი. ევროკავშირის პროექტის (EU IPSC) ფარგლებში, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) განსაზღვრა საქართველოში 57 განვითარებადი და პოტენციური კლასტერი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამამუშავებელ მრეწველობასა და აგრობიზნესს. გამოკვლეული და კარგად შემუშავებულია პირველი 10 კლასტერი: ღვინო (კახეთი), ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება (თბილისი), მეფრინველეობა (ქვემო ქართლი), საზღვაო თევზჭერა (სამეგრელო - ზემო სვანეთი), ღვინო (რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვა-ნეთი), ღვინო (ქვემო ქართლი), ავეჯი (თბილისი), სამკაულების წარმოება (თბილისი), ტანსაცმელი (თბილისი), ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება (სამეგრელო, ზემო სვანეთი).

მომავალში ყურადღება უნდა გამახვილდეს ინოვაციური პოლიტიკის ოთხ მთავარ მიმართულებაზე და აქედან გამომდინარე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე. ეს მიმართულებებია:

1. ეკონომიკური განვითარების მთავარი მიზანი უნდა გახდეს ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა;
2. ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პროცესმა უნდა შეიძინოს უწყვეტი და კომპლექსური ხასიათი;

3. ორიენტაცია აღებული უნდა იქნეს ქვეყანაში საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირებაზე, რისთვისაც განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს სამეცნიერო სისტემა;
4. შეიქმნას ინოვაციური სისტემის ხუთრგოლიანი მოდელი და შესაბამისად გაძლიერდეს კავშირი სახელმწიფოს, ბიზნესს, მეცნიერებას, საზოგადოებასა და გარემოს შორის.

2. სტატიაში განხილულია ფსევდო დეგლობალიზაციის პროცესი, რასაც საფუძველი COVID19-ის პანდემიამ ჩაუყარა. განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ დეგლობალიზაცია პრინციპულადაა შეუძლებელი. ნაჩვენებია, თუ როგორ ჩაანაცვლა COVID-19-ის პანდემიის დროს ჰიპერგლობალიზაცია ტურბულენტურმა გლობალიზაციამ. ეს უკანასკნელი კი კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომისა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების შედეგად. პანდემიამ და ომმა წინა პლანზე წამოწია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რის საფუძველზეც სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ მომავალში ჩამოყალიბდება გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის არის „შუა დერეფნის" პროექტი, რომელიც იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი ეკნომიკურ დერეფნად იქნას ტრანსფორმირებული.
3. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო ითვლება საომარი კონფლიქტების ფეთქებად საშიშ ზონად, რაც განაპირობებს კატასტროფებისთვის მზადყოფნის გადაუდებელი გეგმების არსებობის აუცილებლობას, რათა საავადმყოფოებმა შეძლონ გაუმკლავდნენ დაშავებულთა გაზრდილ რაოდენობას და შესთავაზონ ეფექტური სამედიცინო მომსახურება. კვლევის მიზანია კატასტროფებისადმი საავადმყოფოების მზადყოფნის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. შედეგებმა გამოავლინა საავადმყოფოებში კრიზისისა და კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე საშუალო ქულით 56,57%. რეკომენდირებულია საავადმყოფოებში გარკვეული ცვლილებების გატარება კრიზისისა და კატასტროფული მოვლენებისადმი მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად.
4. ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა ტურიზმში პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევა. ყველაზე სწორ გზად მიიჩნევა შიდა ტურიზმის გაძლიერება და უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნა. პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდის შემდეგაც ტურიზმის მამოძრავებელ ძალად შიდა ტურიზმის განვითარებისათვის თემატურ ტურიზმს მოიაზრებენ. ამ მიმართულებით ღვინის ტურიზმი (ენოტურიზმი) არის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული გზა, და იგი მზარდ სეგმენტად განიხილება. მისი განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იქნება ენოტურისტული რეგიონების აქტიური კვლევა. ნაშრომში შესწავლილია ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარების ზოგადი თეორიული ასპექტები და პერსპექტივები უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.
5. იაპონიამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში არნახულ წარმატებებს მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. თუმცა, 90-იანი წლებიდან მისი ეკონომიკა განიცდის სერიოზულ რყევებსა და სიძნელეებს. ახალი რეალობის გათვალისწინებით, შემუშავდა ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ნაშრომში გაანალიზებულია ამ სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, მისი შემადგენელი ელემენტები და მიმართულებები: იაპონიის მრეწველობის აღორძინება; სტრატეგიული ბაზრის შექმნა; გლობალური უპირატესობის მიღწევა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში ქვეყნის ძირითად მიმართულეებად კვლავ რჩება საგარეო ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება, მისი ახალ-ახალი სეგმენტების მოძიება და საქმიანობის არეალის გაფართოება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და იაპონური კომპანიების საზღვარგარეთული აქტიურობის დივერსიფიკაცია.
6. თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პოსტპანდემიურ გამოწვევებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები. ამ რეალობაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია.

   ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი ყურადღება გამახვილებულია ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებზე და აგებულია ზიფის მრუდი საქართველოს ქალაქებისათვის. საქართველოში რეგიონულ ჭრილში ურბანიზაციის შემოსავლების განაწილებაზე

ზეგავლენის შესწავლისათვის აგებული და შეფასებულია შემოსავლების განაწილებაზე ურბანიზაციის გავლენის ეკონომეტრიკული მოდელი. მოდელში ურბანიზაციის გარდა ჩართულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ადამიანისეული კაპიტალი. მოდელირების შედეგების მიხედვით ურბანიზაცია ხელს უწყობს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას საქართველოში.

7. სტატიაში განხილულია და სისტემატიზებული ელემენტები (ატრიბუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები, ცნებიერი რეგლამენტატორები), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციების რეალიზაციას საერთოდ და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას კერძოდ. ჩატარებულია თანმიმდევრული ექსკურსი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძირითადი გლობალიზაციების მიხედვიდ ამ გლობალიზაციებში ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების დონის მდგომარების მოკლე დახასიათებით. განსაკუთრებული ყურადღებით ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციის) სივრცეზე ელიტის ჩანაცვლების მცდელობები და მისი ჩანაცვლება გლობალიზაციის შესაბამის პერიოდებთან კონტექსტში. შემდეგ სისტემატიზებულია და მოკლედაა გაშუქებული ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები, დამახასიათებელი გლობალიზაციის უკანასკნელი პერიოდისათვის (ჰიპერგლობალიზაციისათვის –1991-2015 წლები). ნაშრომის დასასრულს გაშუქებულია ზოგიერთი ასეთი საფრთხის გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Abesadze R.** Economic Regress: Essence, Causes and Sources of its Origin. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, t. 17, #3, 2023 BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 17, no. 3, 2023 **ISSN - 0132 – 1447** (scopus).
2. **რამაზ აბესაძე.** მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები საქართველოს ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. **რამაზ აბესაძე.** „მწვანე" და „წრიული" ეკონომიკა საქართველოში და მასთან დაკავშირესაფრთხეები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
4. **რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი, თამარ თაფლაძე, ქრისტინე კურატაშვილი**. ქსელური ეკონომიკა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ეკომომიკური საფრთხეები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
5. **გიორგი ბერულავა, მარინე ცუცქირიძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები და საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
6. **ვლადიმერ პაპავა. პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
7. **ვლადიმერ პაპავა. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები".** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
8. **Papava V., Maisaia V. (პაპავა ვ., მაისაია ვ.). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare.** („ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში და გეოეკონომიკური ომის ძირითადი ცნებები"). *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*), ტომი 17, No. 3, ISSN - 0132 – 1447, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემია, გვ. 116-120, <http://science.org.ge/bnas/vol-17-3.html> (scopus).

9. **პაპავა ვ. რეტროეკონომიკის ზომბირების საფრთხის შესახებ.** კრებულში: *მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები.* ISBN 978-9941-36-111-1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 197-202, <https://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf>.
10. **პაპავა ვ., თაფლაძე თ. Об опасности банковского кризиса, новой волне зомбирования экономики и эффекте Оливера-Танци.** („საბანკო კრიზისის საფრთხის, ეკონომიკის ზომბირების ახალი ტალღისა და ოლივერ-ტანცის ეფექტის შესახებ შესახებ“). კრებულში: *მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით.* ISBN 978-9941-33-633-1. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 110-115, <https://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkrb2023_651e61b19b80e.pdf> .
11. **კვარაცხელია მურმან. გლობალიზაცია და ეკონომიკური ( არაეკონომიკური) საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
12. **კაკულია ეთერი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში და ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
13. **გოგოხია თეიმურაზ. მარკეტინგული მიკროგარემო და ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
14. **დავლაშერიძე ნატა. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნობელის პრემიის ლაურეატთა შრომებში.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
15. **წერეთელი ზურაბი, საინვესტიციო მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
16. **ხუსკივაძე მამუკა. საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
17. **ლაზარაშვილი თეა. გარე და შიგა ინვესტიციები საქართველოში და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
18. **დვალიშვილი ლია. საქართველოს არაგანახლებადი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
19. **ნოზაძე ზურაბ. საქართველოს წყლის რესურსების უზურნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
20. **მელაშვილი მედეა. სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
21. **თეთრაული ციცინო. საქართველოს მიწის რესურსებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

22. **ჯავახიშვილი რევაზ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის პრობლემები და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
23. **თოთლაძე ლია. საერთაშორისო ეკონომიკური პროგრამები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
24. **ქისტაური ნუნუ. საქართველოს მრეწველობაში არსებული პრობლემები და საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
25. **ბერიშვილი ხათუნა. საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
26. **ბურდული ვახტანგ. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში და მასთან დაკავშირებული სირთულეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
27. **ბურდული ვახტანგ. რეგიონული ეკონომიკური პრობლემები და საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
28. **ქავთარაძე თენგიზ, დათუნაშვილი ლინა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
29. **ქველაძე ქეთევან. საქართველოს მომსახურების სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი) პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
30. **ბრეგვაძე გიორგი. საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობაში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
31. **ჟორჟიკაშვილი ნინო. საქართველოს კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტში არსებული პრობლემები და ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVI, ISSN 1987-6904, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

*ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. ნაშრომში გადმოცემულია ეკონომიკურ ლიტერატურაში პრაქტიკულად შეუსწავლელი მნიშვნელოვანი მოვლენის, “ეკონომიკური რეგრესის“, არსი, მისი წარმოშობის მიზეზები და წყაროები“, განვსაზღვრულია მთავრობის, როგორც **ეკონომიკის “მესაჭის”** ფუნქციები და საქართველოს ეკონომიკაში ეკონომიკური რეგრესის გამოვლინების მიზეზები. ამ მიზნის მისაღწევად შემოტანილია **“კონსოლიდირებული ეკონომიკის”** ცნება და გახსნილია მისი არსი.

   ეკონომიკურ რეგრესს, ისე როგორც ეკობომიკურ განვითარებას, ჩვენ ვუკავშირებთ თვისებრივ ცვლილებებს ეკონმიკაში. ეკონომიკური განვითარება არის ეკონომიკის ახალ, თვისებრივად უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლა, ხოლო ეკონომიკური რეგრესი ეკონომიკის ახალ, თვისებრივად გაუარესებულ მდგომარეობაში გადასვლა. კონსოლიდირებული ეკონომიკა ისეთი ეკონომიკაა, რომელზეც მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის ელემენტთა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების სრულყოფას ანუ ეკონომიკის თვისებრივად

ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას. როდესაც სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ირღვევა ეკონომიკის კონსოლიდაციის ხარისხი, მაშინ ადგილი აქვს ეკონომიკურ რეგრესს.

ეკონომიკური რეგრესის წარმოშობა არ ნიშნავს არც ეკონომიკურ დაქვეითებას და, მითუმეტეს, არც ეკონომიკურ კრიზისს. თუ ეკონომიკური რეგრესი აღმოიფხვრება, ეკონომიკური რყევები თავიდან იქნება აშორებული. გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიზანშეწონილად მოგვეჩვენოს. მაგრამ, თუ რეგრესის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილი არ იქნა, ეკონომიკური ზრდა შენელდება და, საბოლოოდ, კრიზისით დასრულდება.

ეკონომიკური რეგრესის აღმოფხვრის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მიერ განხორციელებულ შესაბამის ღონისძიებებს. ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილების ან მისი აღმოფხვრისათვის მთავრობამ უნდა შეასრულოს ეკონომიკის „მესაჭის“ ფუნქცია. არსებობს საქართველოს ეკონომიკაში რეგრესის წარმოშობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ნაშრომში დეტალურადაა საუბარი მათ შესახებ.

ეკონომიკურ რეგრესსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების განხილვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს: **ეკონომიკურ რეგრესს მოჰყვება ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკურ რეგრესს მაშინვე მოჰყვება ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება; ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ან აშკარად არ ჩანს);**

არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი და წყარო, ესენია: **მძიმე სოციალური პირობები; არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა; საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები; ეკონომიკის ქაოსური ხასიათი; ბუნებრივი პირობების ცვლილება; არასწორი საგარეო პოლიტიკა;**

ეკონომიკური რეგრესი შესაძლებელია წარმოიშვას ნებისმიერ, თვით ყველაზე მაღალგანვითარებულ ეკონომიკაშიც კი. ამდენად აუცილებელია ეკონომიკის მუდმივი გაძღოლა. ამისათვი კი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ეკონომიკის „მესაჭის“ ფუნქცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რეგრესი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური რყევები. ეკონომიკური რეგრესის დეტერმინანტთა თითქმის ყოველდღიური ანალიზის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამ ოროცესში ჩართული უნდა იყოს მეცნიერები და ბიზნესი.

2. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მთელ მანძილზე ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები მნიშვნელოვნად იცვლებოდა. განსაკუთრებით ეს მაჩვენებლები უარესდებოდა დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1992-1995), შემდეგ კი პანდემიის პერიოდში (2020-2021). 2021 წლიდან იწყება მაკროეკონომიკურ პარამეტრთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი 2021 წელს გაიზარდა 10,5, 2022 წელს 10,4, 2023 წელს 8 პროცენტით, (დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ნოემბერს). უმუშევრობის დონე 2013 წელს 2019 წელს 19,6 პროცენტიდან 15,6 პროცენტამდე შემცირდა სიღარიბის დონე კი იმავე პერიოდში 18,6 პროცენტიდან 15,6 პროცენტამდე. ბოლო წლებში ასევე იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2022 წელს მან 2087,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ნაცვლად 2019 წლის 1354,1 მილიონი აშშ დოლარისა. მთავრობის საგარეო ვალმა 2022 წელს მშპ-ს მხოლოდ 32,8% შეადგინა ამ დადებით ტენდენციასთან ერთად შენარუნებულია უარყოფითი სავაჭრო სალდო, მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტს მზარდი ტენდენცია აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 3 წელიწადში საქართველოს ეს საფრთხეები მაინც რჩება, განსაკუთრებით მიმდინარე ომებისა და საერთაშორისო დაძაბულობის ფონზე. ეს საფრთხეებია:

1. სიღარიბის ზრდა;
2. ინფლაცია;
3. კორუფცია;
4. უცხოური ინვესტიციების შემცირება;
5. შიგა ინვესტიციების შემცირება;
6. საგარეო ვალის დიდი მოცულობა;
7. სავალუტო კურსის ცვლილება;
8. კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
9. ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე;
10. მრეწველობის განვითარების დაბალი დონე;
11. მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე;
12. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე;
13. ინვესტიციების შემცირება ინოვაციებზე;

14. ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის შეფერხება;
15. უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და სტრუქტურა;
16. ჩრდილოვანი ეკონომიკა;
17. საერთაშორისო ეკონომიკური საფრთხეები (ეკონომიკური კრიზისი, დომპინგი და სხვ.).

**3.** გამოკვლეულია „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის არსი და გამოწვევები, გამოვლენილია ამ მიმართებით არსებული ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და შემოთავაზებულია მათი თავიდან აცილების გზები.

მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია: მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობასთან; ეკონომიკურ ზრდასთან; არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლებასთან; განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობების შენარჩუნებასთან; გარემოს დაბინძურების შემცირებასთან. სწორედ ამ პრობლემათა გადაჭრას მნიშვნელოვანწილად ემსახურება “მწვანე” ეკონომიკა.

„ყავისფერი“ ეკონომიკა ანუ ტრადიციული ეკონომიკა, ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისიდან მომდინარე, დაკავშირებულია წარმოების პროცესებში ნახშირბადის მაღალ შემცველობასთან (ვინაიდან იგი ძირითადად ემყარება წიაღისეული სათბობის გამოყენებას), რესურსების მფლანგველურ მოხმარებასა და სოციალურ ექსკლუზიურობასთან. ამის საწინააღმდეგოდ „მწვანე“ ეკონომიკა ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით. იგი არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ აღადგენს ბუნებრივ კაპიტალს.

თანამედროვე ეკონომიკის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსების მფლანგველური მოხმარება - რესურსების ეკონომიკური ფასეულობა მაქსიმალურად არ გამოიყენება. ასეთ ეკონომიკას, რომელიც ორიენტირებულია მოგების ზრდაზე, დღევანდელი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე, სწორხაზოვან ეკონომიკას უწოდებენ. სწორხაზოვანი ეკონომიკის პირობებში შეზღუდული რესურსები გამოიყენება არა ეფექტიანად და წარმოების ნარჩენების უზარმაზარი რაოდენობა დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. სწორხაზოვან ეკონომიკის საპირისპიროა წრიული ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური ფასეულობის მაქსიმალურ გამოყენებასა და გარემოს მინიმალურ დაბინძურებაზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ზემოთ მოყვანილ პრობლემათა გადაჭრისა არის წრიული ეკონომიკის ფორმირება, სწორხაზოვანი ეკონომიკისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს პრინციპი: ნედლეულის გამოყენება პროდუქტის საწარმოებლად, ხოლო ნარჩენების (რომელთა გამოყენება კვლავ შესაძლებელია პროდუქციის მისაღებად) გარემოში ჩაშვება და მისი დაბინძურება. წრიული ეკონომიკა აღდგენადი სისტემაა, რომელშიც როგორც რესურსები, ისე ნარჩენები მინიმიზებულია. წრიული ეკონომიკის მთავარი კონცეფცია მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. წრიული ეკონომიკის ძირითადი პრინციპია რესურსების მაქსიმალური გამოყენება, გარემოსადმი მინიმალური დაბიმძურების მიყენების პირობებში. ეს მიიღწევა განახლებადი რესურსების გამოყენებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავების შედეგად.

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების მიმართულებებით გარკვეული ინსტიტუციური საფუძვლები მომზადებულია. კერძოდ: მიღებულია საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996); საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა; საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“: 2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი; ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; დაგეგმილია გადასახადებისგან სრულად განთავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვა;

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა საქართველოში „მწვანე" და წრიული ეკონომიკის ფორმირების გზაზე არსებს არა ერთი მწვავე პრობლემა, რომლებიც ქმნიან შესაბამის საფრთხეებს. ეს საფრთხეებია:

1. მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.;
2. ნიადაგის დაბინძურება, ეროზიული პროცესების გაძლიერება, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების გაძლიერება;
3. უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება;
4. არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგების ზრდა;
5. სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების არასრულყოფილი სისტემა;
6. ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების საშიშროება;
7. ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე;
8. არასრულყოფილი ნარჩენების მართვის სისტემა.

**4.** გამოკვლეულია ქსელური ეკონომიკის არსი, გამოვლენილია ამ მიართულებით საქართველოს ეკონომიკაში არსებული საფრთხეები და შემოთავაზებულია ამ საფრთხეთა თავიდან აცილების გზები.

ევროპის კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში 1997 წელს ქსელური ეკონომიკა განიმარტება როგორც გარემო, რომელშიც ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ წერტილში მყოფ ნებისმიერ კომპანიას და ინდივიდს, ინტერნეტ-ტექნოლოგიების მეშვეობით შეუძლიათ იოლად და მინიმალური დანახარჯებით კონტაქტი დაამყარონ სხვა კომპანიასთან ან ინდივიდთან, ერთობლივი სამუშაოს განხორციელებასთან, ვაჭრობასთან, იდეებისა და "know-how"-ს გაცვლასთან დაკავშირებით ან უბრალოდ პირადი სიამოვნებისათვის. ქსელური ეკონომიკის საფუძველია ქსელური ორგანიზაციები. ქსელური საქონელი ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავდება იმით, რომ ქსელში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის ზრდა იწვევს ამ საქონლისაგან მიღებული სარგებელის ზრდას.

მართვის ქსელური მეთოდი არსებითად განსხვავდება ამჟამად არსებული იერარქიული და საბაზრო მეთოდებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1. კომუნიკაციის ახალი ელექტრონული საშუალებების დანერგვა საშუალებას იძლევა ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარდეს მრავალფეროვანი და მრავალდონიანი კავშირები;
2. ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეობის ფასეულობა იზრდება მათში მონაწილეთა რიცხოვნობის ზრდის დროს, რაც იწვევს მასში ახალი და ახალი წევრების ჩაბმას;
3. ქსელური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მცირე მუდმივი დანახარჯები და არაარსებითი ზღვრული დანახარჯები;
4. ქსელურ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციისაგან მიღებული სარგებელი იზრდება, ხოლო ფასი კი მცირდება მასში მონაწილე პირთა ზრდასთან ერთად;
5. ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს სწრაფი სახეცვლილების უნარი;
6. ქსელურ ეკონომიკაში მონაწილეებისათვის სასარგებლოა საერთო ინტერესების დაცვა;
7. ქსელურ ეკონომიკას ახასიათებს თვითორგანიზაციისა და თვითგანახლების დიდი უნარი.

საქართველოში ქსელური ეკონომიკის განვითარების დონე დაბალია. ამაზე მეტყველებს ქსელური მზადყოფნის საერთაშორისო ინდექსის სიდიდე, რომლის მიხედვითაც საქართველო 144 ქვეყნიდან 75-ე ადგილზეა.

საქართველოში ქსელური ეკონომიკის ფორმირების საფრთხეებიდან შეიძლება დავასახელოთ: საინფორმაციო-კომუნიკაციური ტენოლოგიების განვითარების არცთუ მაღალი დონე; კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების სუსტი მიმღებლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიმართ; სამართლებრივი ბაზის არაეფექტიანობა; საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა.

5. მიკროეკონომიკური საკითხები და საფრთხეები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ სამი მნიშვნელოვანი მიკროეკონომიკური საკითხი, კერძოდ - შემოსავლების უთანასწორობა, არასაკმარისი ინოვაციებისა და R&D-ის აქტივობა და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე. კერძოდ, ჩვენ შევისწავლეთ, თუ რამდენად კონკრეტულად თითოეული ეს პრობლემა შეუძლია შეაფერხოს განვითარების პროცესი. გარდა ამისა, ჩვენ განვიხილეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ შემოსავლების უთანასწორობა კვლავ რჩება არსებით გამოწვევად საქართველოში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე,

სოციალურ ერთიანობაზე და საერთო კეთილდღეობაზე. ძირეული მიზეზების მოგვარებით და მიზანმიმართული პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებით, საქართველოს შეუძლია ისწრაფოდეს უფრო ინკლუზიური საზოგადოებისკენ, სადაც შესაძლებლობები და სარგებელი უფრო სამართლიანად იქნება განაწილებული მის მოქალაქეებს შორის. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეფექტური საინოვაციო პოლიტიკის და ჯანსაღი ინსტიტუტების ჩარჩოში, საქართველოს სტრატეგიული ინვესტიციები ინოვაციებსა და R&D-ში უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ წინსვლას და აძლიერებს ადამიანურ კაპიტალს. თუმცა, არსებული ძალისხმევა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება საქართველოში. ამ კვლევაში ჩვენ ვნახეთ, რომ მიუხედავად გარკვეული მიღწეული პროგრესისა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით, საქართველოში კვლავ რჩება არსებითი სირთულეები ადგილობრივი ბიზნესისთვის კრედიტისა და ფინანსების მოპოვების სფეროში. საბოლოოდ, ლიტერატურის მიმოხილვისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციების კომპლექსი მიკროეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

6. შესწავლილია COVID-19-ის პანდემიით, რუსეთ-უკრაინის ომით და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეები. კვლევის შედეგად გამოკვეთილია მაკროეკონომიკური (სახელმწიფო ვალის ზრდა, მაღალი ინფლაცია) და მიკროეკონომიკური (ეკონომიკის ზომბირება, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შეჩერება) საფრთხეები. რუსეთის ომმა უკრაინაში გაამწვავა მოსკოვის მიერ არალეგალური ტრანზაქციებში კრიპტოვალუტის გამოყენების საფრთხე. ასევე მწვავედ დადგა ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. საფუძველი ეყრება საერთაშორისო ვაჭრობაში დედოლარიზაციის პროცესს, თუმცა რეალურად აშშ დოლარის ჩანაცვლება სხვა ვალუტების მიერ ჯერ-ჯერობით და მეტ-ნაკლებად განჭვრეტად მომავალშიც შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკის მომავალი ეკონომიკური მოდელის საფუძველი სავარაუდოდ იქნება „გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით“.
7. გამოკვლეულია პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობა იყო. ცალკე საფრთხეს ქმნიდა ის, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა თუ არა სახელმწიფოებრიობისათვის შესაბამისი ინსტიტუციები. განხილულია მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორივე გზისთვის - „შოკური თერაპიისა“ და „გრადუალიზმისთვის“, დამახასიათებელი ეკონომიკური საფრთხეები.
8. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოიშვა უსაფრთხოების ახალი აკადემიური განზომილება, რომელიც კონფიგურირებულია ზოგიერთი გეოპოლიტიკური აქტორის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელების თვალსაზრისით. კონფრონტაციული გლობალიზაცია ხელს უწყობს კონტინენტთაშორისი თანამშრომლობის ტენდენციის განვითარებას რეგიონული და ეროვნული ურთიერთდამოკიდებულების განვითარების გარეშე. გარდა ამისა, სტატიაში მოცემულია ცდა განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საფრთხეების შინაარსი, აგრეთვე ის, თუ როგორ უკავშირდება ისინი უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემას. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ახალი ტიპის ომის წარმოების კონცეფცია აღიქმება ეკონომიკური ინტერესების და ზოგადად ეროვნული ინტერესების რეალიზაციასთან ერთად ერთ მთლიანობაში. მოცემულია სხვადასხვა სკოლის გეოეკონომიკური ცნებების შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც შესაძლებელია გეოეკონომიკური ომების სპეციფიკური თავისებურებების დადგენა.
9. სტატიაში გამოკვლეულია COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეკონომიკის ზომბირების მექანიზმი. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, მის თუნდაც რაღაც ნაწილში მაინც გამოიყენება შედარებით მოძველებული ტექნოლოგიები. ეკონომიკის ეს ნაწილი, ანუ რეტროეკონომიკა, ზომბირების პროცესში ყველაზე ადვილად ტრანსფორმირდება ნეკროეკონომიკაში, რომელიც აბსოლუტურად მოძველებულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. რეტროეკონომიკის ზომბირების საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გაკოტრების კანონმდებლობაში შეიცვალოს უმთავრესი პრინციპი, რის შედეგადაც პრიორეტეტული გახდება სიცოცხლისუუნარო ფირმების გაკოტრების გზით ლიკვიდაცია.
10. COVID-19-ის პანდემიამ, ისევე როგორც რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის ეკონომიკური სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ, მაღალი ინფლაცია გამოიწვია. გავრცელებული აზრია, რომ ზომბი კომპანიები და ზომბი ბანკები შეწყვეტენ არსებობას მაღალი ინფლაციის გამო. სტატიაში ნაჩვენებია, რომ არსებობს ორი ტიპის ზომბი ეკონომიკა - ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული. დასაბუთებულია, რომ ოლივერ-ტანცის ეფექტის გამო მაღალი ინფლაცია არ წარმოადგენს საფრთხეს ორთოდოქსული

ზომბი ეკონომიკის არსებობისათვის, თუმცა ჰეტეროდოქსული ზომბი ეკონომიკის არსებობას კი სირთულეებს უქმნის.

11. სტატიაში გადმოცემულია გლობალიზაციის პროცესის შეუქცევადობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფაში. მნიშვნელოვანია მისი გავლენა ერთიანი თამაშის წესების ჩამოყალიბებაში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებასთან. გლობალიზაციის დაჩქარებულმა პროცესებმა წარმოშვა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოწვევები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის მნიშვნელობის. კერძოდ, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისაც კი. ყოველივე ეს ცვლის სახელმწიფოების, როგორც ეკონომიკური პროცესების მონაწილის ფუნქციებსა და შესაძლებლობებს.

    გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა ტიპის ქვეყნების, კერძოდ კი, განვითრებადი სახელმწიფოების ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნის პრობლემა. ამ შემთხვევაში ამ პროცესების შემარბილებელ ფაქტორად შეიძლება აღმოჩნდეს მათ საკუთრებაში არსებული რესურსების განაწილების დილემა. ამ მხრივ არსებული პრობლემები მომავლის პროგნოზირებისთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, რადგან სწორედ მაღალი ტექნოლოგიების პირობებში რესურსებმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ, შედარებით მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნების, არსებობისა და განვითარების პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობა. ამდენად, გლობალიზაცია ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეების გამომწვევი და დამარეგულირებელი ფაქტორიც შეიძლება გახდეს.

12. ნაშრომში გაშუქებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა, როგორც ინკლუზიური ზრდის ძირითადი საშუალება. დინამიკაშია განხილული მცირე და საშუალო საწარმოთა ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლები პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდში. გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი პრობლემები საქართველოში, მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და მისგან გამოწვეული საფრთხეები.

13. ნაშრომში განხილულია ფირმის მარკეტინგული მიკროგარემოს არსი, მისი როლი და მნიშვნელობა ფირმის ფუნქციონირებაში, მათ შორის ფირმის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში. აღწერილია ფირმის მარკეტინგულ მიკროგარემოში მოქმედი სუბიექტები და მათი საქმიანობის თავისებურებები, რომელიც, ერთი მხრივ, ფირმის კომერციული წარმატების (მათ შორის კონკურენტული უპირატესობის) მიღწევის შესაძლებლობებს მოიცავს, ხოლო მეორე მხრივ - ფირმის გამართულად ფუნქციონირებისთვის პოტენციურ საფრთხეებსა და რისკებს მოასწავებს.

    ამასთან, პოტენციური საფრთხეებისა და რისკების მომცველი მარკეტინგული მიკროგარემო განხილულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების ჭრილში. შესაბამისად, დასაბუთებულია ფირმაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა მარკეტინგული მიკროგარემოს ძალებისა და ფაქტორების პოტენციური ცვლილებების მიმართ.

    ჩამოყალიბებულია მარკეტინგული მიკროგარემოს, როგორც შესაძლო ზიანის მომტანი, შესაძლო ხიფათებისა და რისკების მომცველი არეალის, მიმართ ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური მიდგომები და პრინციპები.

14. ნაშრომში ვლინდება ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება, ნობელის პრემიის ლაურეატთა ნაშრომებში განსაკუთრებით 2008-2009 წლების კრიზისის შემდეგ. აღნიშნულია, რომ სწორედ ამ პერიოდში მოექცა ეს თემა კვლევის ცენტრში, რადგან აშკარა გახდა, რომ კრიზისი მაკროპოლიტიკის საკითხებში ეკონომისტების შეცდომებმა გამოიწვია.

    შედეგად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 6 ძირითადი ფაქტორი, რომელთა კვლევისთვისაც იქნა მინიჭებული ნობელის პრემიები პირველ რიგში, ეს არის პრაქტიკული რეკომენდაციები საბაზრო ძალაუფლებისა და ზოგადად ბაზრების სტრუქტურის რეგულირებისთვის. ამ მაკრო პარამეტრებთან ერთად გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი მიკროეკონომიკური ფაქტორები (კორპორატიული ხელშეკრულებები, ახალი აუქციონის ფორმატები). მესამე მიმართულება იყო განსაკუთრებული (სპეციალური) აქცენტი შრომის ბაზრებზე (მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები, ქალის როლი და ა.შ.). მეოთხე არის ფინანსური კრიზისების და ბანკების მუშაობის ანალიზი. შემდეგი, აუცილებელია ხაზი გავუსვა ცალკეული პრობლემების - ტექნოლოგიური ინოვაციებისა და კლიმატის - ინტეგრაციას სახელმწიფოების გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. საბოლოოდ, მეექვსე ტენდენციის (ტრენდის) ერთგვარი შედეგი იყო დავოსის ეკონომიკური ფორუმის დასკვნები 2023 წელს, სადაც ნობელის პრემიის ლაურეატებმა ფაქტობრივად მიიღეს მხარდაჭერა მილიარდერებისგან, პრეზიდენტებისგან, პრემიერ-მინისტრებისგან, ბანკების მფლობელებისგან და ა.შ. ტრადიციულმა კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი და აუცილებელია ფუნდამენტურად ახალი ქცევითი ეკონომიკის, გარკვეულ დაინტერესებულ მხარეთა -

ე.წ. სტეიკჰოლდერ კაპიტალიზმის აშენება, ანუ მოცული იქნეს სოციალურ ღირებულებები, კეთილდღეობისა და მოხმარების ახალ პრინციპებს და სიღარიბის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემაში ხელოვნური ინტელექტის (AI) როლისადმი ნობელის პრემიის ლაურეატთა მიდგომებს.

15. ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მთელი ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა დამოკიდებულია ტერიტორიებისა და საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების დონის სტაბილურობაზე, აღნიშნული წარმოშობს ეკონომიკური კვლევების აუცილებლობას, რაც საჭიროა არა მხოლოდ მეწარმეებისათვის, არამედ ხელისუფლებებისათვისაც.

    ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან შიდა და გარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

    ნაშრომში წარმოდგენილია საინვესტიციო მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები. ხაზგასმულია მთავრობის როლი საინვესტიციო კანონმდებლობის გაუმჯობესებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმების შესაბამისი საინვესტიციო მაკრო და მიკრო გარემოს შექმნას. თვალსაჩინოა იმ საფრთხეების განეიტრალების პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც საწარმოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე მოქმედებენ.

16. თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებულ მწვავე პრობლემათა შორის აქტუალურია და სულ უფრო ღრმავდება ტყის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა. ის კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს მსოფლიო მოსახლეობის განუხრელი ზრდის პირობებში. ეს განპირობებულია იმით, რომ ტყის რესურსები ნებისმიერი ცოცხალი სამყაროს არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსია. იგი წარმოადგენს ბიოსფეროს მნიშვნელოვან კომპონენტს, ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირბადის გარკვეული პროპორციით თანაფარდობას. მას გააჩნია მრავალგვარი ფუნქციები: კლიმატისა და წყლის მარეგულირებელი, აირგამცვლელი, ნიადაგდაცვითი და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი და სამართლიანად ითვლება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად. ტყით დაფარული ფართობის ქვეყნის მთლიან ტერიტორიასთან თანაფარდობის მაჩვენებლით საქართველო მიეკუთვნება ტყით მდიდარ ქვეყნებს, თუმცა ტყის სექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამგვარი სიტუაციის ჩამოყალიბება დიდწილად განაპირობა არა მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციამ, არამედ ძირითადად ტყის რესურსების ექსპორტმა, რამაც ბუნებრივია შეამცირა ამ სექტორის საექსპორტო შემოსავლები და შესაბამისად მისი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის პროცესში ჩნდება როგორც შესაძლებლობები, ისე ახალი გამოწვევები, რაც გამოწვეულია ტყეების მართვის სტანდარტების ცვლილებით, რომლებმაც უნდა უპასუხონ მზარდ საერთაშორისო, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნებს. იზრდება კლიმატის ცვლილებით, მავნე ორგანიზმებით და სხვა არახელსაყრელი ფაქტორების ზეგავლენით ტყეების განადგურების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები. ყოველივე აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის, მისი გამოყენებისა და დაცვის პრობლემური საკითხების შესწავლის აუცილებლობას. სწორედ ამ კონტექსტში ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ტყის რესურსებით უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობა. გაშუქებულია ის ძირითადი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საფრთხეები, რომლებიც წარმოიშობა ტყის ფუნქციების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების პირობებში და რომლებსაც იწვევს არაოპტიმალური ტყითსარგებლობის მოდელის გამოყენება. შემოთავაზებულია აღნიშნული საფრთხეების შერბილების და დაძლევის ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებები. ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია დასკვნები, რომლებიც მიღებულია დასმული აქტუალური საკითხის შესწავლის და შედეგთა განზოგადების საფუძველზე.

17. ნაშრომში გაშუქებულია ინვესტიციური უსაფრთხოების არსი და მისი უზრუნველყოფის საკითხები, როგორც ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდის მთავარი ფაქტორი. გამოკვლეულია თუ რა გავლენას ახდენს ინვესტიციური პროცესი ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. დინამიკაშია გაშუქებული გარე და შიგა ინვესტიციები საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიცებზე, გაანალიზებულია მისი სტრუქტურა და გამოვლენილია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები და შემოთავაზებული მათი თავიდან აცილების გზები.

18. ნაშრომში გაანალიზებულია თუ როგორ უკავშირდება ქვეყნის ბუნებრივი რესურსები მის წინსვლას და განვითარებას, ამ ქვეყნის შედარებით უპირატესობას სხვა ქვეყნებთან მიმართებით, რასაც იწვევს იმ საქონლით ვაჭრობის მომგებიანობა, რომლის წარმოება ამ რესურსზეა დამოკიდებული.
ვრცლად მიმოხილულია არაგანახლებადი რესურსების თაობაზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი ფუნქციონირებისთვის, რადგან ამ რესურსებზე მოთხოვნა იზრდება გლობალური მოსახლეობის გაფართოების ხარჯზე. არაგანახლებადი რესურსების გამოყენებამ უფრო ფართო სპექტრი შეიძინა განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად. არაგანახლებადი რესურსებით მიღებული ენერგია ჯერ კიდევ დომინანტია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში.
განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჩვენის ქვეყნის მრავალფეროვანი და უნიკალური რესურსების თაობაზე, მათ შორის მინერალურ რესურსებზე, რომელიც განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.
გამოკვეთილია მთელი რიგი გამოწვევები და საფრთხეები, რაც თან ახლავს ზემოთ აღნიშნული დარგების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.
მითითებულია, რომ არაგანახლებადი რესურსების სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი მართვა არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო განვითარების საფუძველი,რაც უფრო ატუალურად იწვევს უფრო მეტი ყურადღების დათმობას არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ჯგუფების მხრიდან.
19. ნაშრომი განხილულია წყლის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა, მოცემულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ძირითადი მაჩვენებლები რამდენიმე წლის დინამიკაში.
მოცემულია ცხრილების სახით საქართველოს დიდი და საშუალო მდინარეები, საქართველოს ძირითადი ტბები და წყალსაცავები, წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი მაჩვენებლები, წყალსატევებში ზოგიერთი მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონე.
განხილულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.
გაანალიზებულია წყლის ხარისხის კონტროლის ძირითადი მოთხოვნილებები, რეგულირება და ნორმირება. მოცემულია მიწისქვეშა წყლების ძირითადი დამცავი ღონისძიებები, განხილულია წყალდამცავი ზონებისა და სანაპირო ზოლების საკითხი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში.
20. ნაშრომში გაანალიზებულია ნებისმიერი ქვეყნისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულების მთავარ ინსტრუმენტს. აქ მოცემულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განმარტება: ქვეყნის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა.
ნაშრომში მოყვანილია ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა, ძირითადი პრინციპები, შესაბამისი საკმაოდ საინტერესო ციფრობრივი მასალა.
აგრეთვე განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტის სრულყოფილ განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები და საქართველოში შეძლებისდაგვარად მათგან თავდაცვის გზები.
21. სიცოცხლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის ისტორიასთან. ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსის არსი და მნიშვნელობა ცივილიზაციის არსებობის შენარჩუნებისათვის, მდგრადი განვითარების კონცეფციის პირობებში. დახასიათებულია საქართველოს ნიადაგის ტიპები, მისი სტრუქტურა, ასევე ის საფრთხეები, როგორიცაა: ნიადაგის ეროზია, გამოფიტვა, დეგრადაგცია და იმ პრევენციული ღონისძიებებს გატარების აუცილებლობა, რომელიც თავიდან აგვაცილებს აღნიშნულ საფრთხეებს. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტებით, ხშირია ისეთი ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა: მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და ა.შ.
ნაშრომში განხილულია იმ პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობა რაც თავიდან აგვაცილებს მსგავს საფრთხეებს. გაანალიზებულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და ის პოტენციალი, რომელიც ქვეყანას გააჩნია რათა გახდეს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებელი, ასევე გაზარდოს მარცვლეულის წარმოება და არ იყოს თითქმის (94%) ხორბალზე იმპორტდამოკიდებული. მაშინ როდესაც, მსოფლიო დადგა ისეთი ახალი გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორიცაა პანდემია, ომები. მსოფლიოში მიდის გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება და ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირება. ამის ფონზე ხორბალი კიდევ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი ხდება. იაფი პროდუქტის ხანა დამთავრდა მსოფლიოში.
ნაშრომში ასევე გამოკვლეულია ისრაელის, კიბუცების ფენომენი, რომლის დანერგვასაც დიდი ხანია

მხარს უჭერს ჩვენი საპატრიარქო და თვითონ ჩვენი კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II. თუ მთავრობა განახორციელებს კიბუცების საპილოტე პროგრამას, დიდი ალბათობით ეს ჩვენთანაც გაამართლებს, რაც ჩვენს აგრარულ სფეროს ააღორძინებს.

ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის აუცილებლობა ისეთი საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროს გაძლიერებისათვის, ახალი კადრების მომზადებისათვის, ძველის გამოყენებისათვის, როგორიცაა: გეოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, გეოგრაფია, აგრონომია, ბოტანიკა და ა.შ. რეგიონალური მასშტაბით აგრარულ სფეროში ცნობიერების ამაღლება. აგრარული სექტორი უნდა გახდეს ქვეყნისათვის პრიორიტეტული, წახალისებული და პრესტიჟული. რა არის მიწა? ყველაფერი მოდის მისგან და ყველაფერი უბრუნდება მას. მისგან გვაქვს „პური ჩვენი არსობისა“.

22. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები: საქონელბრუნვისა და ექსპორტ-იმპორტის დინამიკის, მათი თანაფარდობის, სასაქონლო სტრუქტურის, ექსპორტით იმპორტის გადაფარვისა და სავაჭრო სალდოს მონაცემები. კვლევის შედეგად გამოვლენილია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და არსებული გამოწვევები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული, საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ საფრთხეებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე.

23. საქართველოში წლების განმავლობაში ხორციელდება საერთაშორისო ეკონომიკური პროგრამები, რომელთა მიზანია ქვეყანაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო პროგრამების ანალიზი. მოცემულია სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და მათ იმპლიმენტაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. განხილულ საკითხებს შორისაა:

**USAID**-ის საქართველოში მოქმედი 35-ზე მეტი პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საქართველოს მავნე გარე ზეგავლენის წინააღმდეგ გაძლიერება, ანგარიშვალდებული მმართველობის ხარჯზე დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია და მაღალანაზღაურებადი, მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

***ევროკავშირის*** მხარდაჭერა ხორციელდება საქართველოს მისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით. ეს მოიცავს ევროკავშირის საკანონმდელო სტანდარტებთან თანხვედრაში დახმარებას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ეს შეთანხმება განსაკუთრებული ტიპის შეთანხმებად არის მიჩნეული, რადგან მას აქვს ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირების ამბიციური ამოცანა. DCFTA ასოცირების შეთანხმების მთავარი ღერძია და საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას ეხმარება.

***UNDP-ის*** ეკონომიკური განვითარების პროგრამა ხელს უწყობს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის შემცირებას. საქართველოს ეკონომიკურ წარმატების მისაღწევად, პროგრამის მიზანია სტრუქტურული და სისტემური ხარვეზების აღმოფხვრა და თანამშრომლობის სივრცის შექმნა მდგრადი, თანასწორი და კლიმატგონივრული ეკონომიკური ზრდისთვის. ამ მხრივ, პროგრამა ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკის, ინსტიტუტებისა და სისტემების შექმნას და ისეთი სფეროების განვითარებას, როგორიცაა ადგილობრივი მეწარმეობა, ინოვაციები, ციფრული გარდაქმნა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლება და გადამზადება.

ნაშრომში მოიცავს აგრეთვე განათლების მიმართულებით ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამების ანალიზსაც.

ზემოთაღნიშნული პროგრამების იმპლიმენტაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის საფრთხეებთან, რომელთა შორის უნდა გამოიყოს:

**ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები:** სუსტად განვითარებული ეკონომიკა საქართველოს სერიოზული გამოწვევაა, ვინაიდან მდგრადი განვითარების გარეშე საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დაბალი რჩება. ფასების დონის ზრდა, უმუშევრობის მაღალ დონეს და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვის ზრდა, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, ასევე ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, კორუფცია, არაკომპეტენტურობა მართვაში და არაკვალიფიციური პერსონალი, შეცდომები დაგეგმვასა და განხორციელებაში; ასევე არსებითია რომ კორუფციამ და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანმა სისტემამ, თუ მათი მოგვარება არ იქცევა მუდმივი ზრუნვის საგნად, შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროგრამების განხორციელებას;

**ენერგეტიკული გამოწვევები:** საქართველოს დამოკიდებულება ისეთი სახელმწიფოს ენერგორესურსებზე, სადაც თავისუფალი ბაზარი და საკუთრების უფლება გარანტირებული არ არის, ასევე ადგილობრივი ენერგიის წყაროების არასაკმარისი განვითარება, ენერგიის არასტაბილური მოწოდება და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მძიმე ტექნიკური მდგომარეობა;

**ეკოლოგიური გამოწვევები:** ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესებას, ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ უბედურებებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, მისი მოქალაქეების კეთილდღეობას და ბიომრავალფეროვნებას. საქართველოს მდებარეობა სეისმურად აქტიურ ზონაში ზრდის მისი დაუცველობის ხარისხს ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.

24. ნაშრომი ეხება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიცაა მრეწველობა, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და შესაბამისად მისი მოსახლეობის კეთილდღეობა.

დღეს საქართველოს მრეწველობა, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკა, რთულ პროცესში იმყოფება, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. საბჭოური ეკონომიკის რღვევის პროცესები საქართველოსთვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა, რადგანაც ეკონომიკაში შეიქმნა კატასტროფული მდგომარეობა. ამის მიზეზები კი შემდეგი იყო: ეკონომიკური კავშირების რღვევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ქვეყნისათვის შეუფერებელი მოდელის შერჩევა; სახელმწიფოს როლის იგნორირება ეკონომიკის მართვაში; საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა ეკონომიკურ გარდაქმნებთან; არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიიკის გატარება და სხვ.

ნაშრომში გაანალიზებულია მრეწველობის დარგის დღევანდელი მდგომარეობა შესაბამისი ციფრობრივი მასალის საფუძველზე და ნაჩვენებია, რომ დღეისთვისაც საქართველოს მრეწველობის წინაშე იდენტური პრობლემები დგას.

აქ ჩამოყალიბებულია ქვეყნის მრეწველობის წინაშე მდგომი საფრთხეები და შეძლებისდაგვარად დასახულია მრეწველობის განვითარებისათვის მათი თავიდან აცილების გზები.

25. რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. რუსეთზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც იმ ქვეყნებზეც აისახება, რომლებსაც მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნიათ.

რუსეთ–საქართველოს შორის ჯერ კიდევ არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე რუსული კაპიტალდაბანდებები ყოველწლიურად იზრდება, რაც თავის მხრივ ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის დადებითი მოვლენაა, თუმცა აღნიშნული ინვესტიციების ისეთ სტრატეგიულ სექტორებში განთავსება როგორიცაა: ბუნებრივი რესურსების მოპოვება, ენერგეტიკა ფინანსური სექტორი, რუსეთის მხარეს ეკონომიკური ექსპანსიის საშუალებას აძლევს. რუსეთმა შესაძლოა პოლიტიკური მოტივით საქართველოდან გაიტანოს საკუთარი ინვესტიციები, რაც ქვეყანაში მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს. საქართველოში რუსული კომპანიების ზრდის ფონზე რუსეთს ექმნება შესაძლებლობა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს უმუშევრობის დონეზე.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური აგრესიის თავიდან სრულად აცილებისათვის რაიმე მზა ქმედებათა ერთობლიობის შემუშავება რთული იქნება, თუმცა აღნიშნული პოტენციური ეკონომიკური აგრესიის პროგნოზირება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო მისი მაშტაბურობის შემცირებისათვის სახელმწიფომ გარკვეული პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომელიც შეამცირებს მომავალში რუსული ბაზრის ჩაკეტვის შედეგად გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

26. ნაშრომში განხილულია სირთულეები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციების განხორციელებას ეკონომიკის სექტორებში და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა, ასევე უახლოეს პერიოდში იმ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები, რომელიც საჭიროა ინოვაციების რეალიზაციისათვის ეკონომიკოს სექტორებსა და ქვესექტორებში. მოკლედ განხილულია ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებს შორის ინოვაციების გავრცელებისა და დანერგვის ურთიერთკავშირის პრობლემები. შემდეგ შემოთავაზებულია და დასაბუთებული ინოვაციების (უპირატესად საბაზისო, როგორც საპროცესო, ასევე საპროდუქტოების) რეალიზაციის სტრატეგია ენერგეტიკის სექტორში და მრეწველობის რიგ ქვესექტორში (ელექტროტექნიკური მრეწველობა, კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა).

ამრიგად, ნაშრომის პირველ ნაწილში ნაჩვენებია, რომ არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის წარმოებაში საბაზისო და გასაუმჯობელებელი ინოვაციების ფართოდ დანერგვას და, მაშასადამე, ეკონომიკის დაჩქარებულ და დაბალანსებულ განვითარებას. ეს პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების მოზიდვის სირთულეებთან, უცხოურ ბაზრებზე გამოსაშვებად დასახული პროდუქციის გასაღების სირთულეებთან, ასევე ინოვაციების დაფინანსების სირთულეებთან. ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების აბსოლუტური უმეტესობა საქართველო, ისევე, როგორც სხვა მცირე და საშუალო ქვეყნების უმეტესობა, იძულებულია შემოიტანოს ქვეყანაში ან ახალი საპროცესო ტექნოლოგიების იმპორტისა, ან უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი

საწარმოების ორგანიზაციის გზით. ამ პრობლემის გადაჭრაში ბიზნესს ხელი უნდა შეუწყონ ინოვაციური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციები, რომლებიც ნაშრომის პირველ ნაწილშია აღწერილი. ეს არის საპროფილო სამინისტროები და შესაბამისი ქვედანაყოფები მსხვილ საწარმოებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ხელშემწყობი ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები. ჩვენი აზრით, ინოვაციური საწარმოების (საბაზისო ინოვაციები) შექმნისა და გასაუმჯობესებელი ინოვაციების კოორდინაცია უნდა განახორციელონ **ტექნოპარკებმა**, რომლებიც უნდა შეიქმნას პრიორიტეტულად მიჩნეული სექტორებისა ან ქვესექტორებისათვის, ან რამდენიმე წარმოებულად ურთიერთდაკავშირებული ქვესექტორისათვის. ტექნოლოგიური პარკების საერთაშორისო ორგანიზაცია

